დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ „ჩვენი სკოლა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

გულნარა ხაბურზანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

- **ნინო ბეგაშვილი**- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- **ქეთევან სადრაძე** -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- **თეონა შუბლაძე** - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- **ქეთევან კიპაროიძე** - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- **ეთერი ივანელაშვილი** - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- **ნადია დაბრუნდაშვილი** - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- **მზევინარ მჟავანაძე** - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- **ირინე შარაბიძე** - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- **ვლადიმერ უშიკიშვილი** - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- **ნათია კოხოძე** -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ჩვენი სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404856544

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #42
საფოსტო ინდექსი	0102
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www. chveniskola.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chveniskola2010@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2953053

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 10 მარტის MES 9 26 0000292067 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 21 და 22 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #42
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #42
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #42

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 10 მარტის MES 9 26 0000292067 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ მის.: ქალაქი თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #42 მიმდინარე წლის 21 და 22 აპრილს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა ვიზიტი

წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებითი იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. სკოლის პერსონალი ორიენტირებულია განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებზე და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
158	**121**	***150***

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა“ მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიასთან თანაარსებობაში მყოფი ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებაა, რომლის უნიკალურობას განსაზღვრავს ის, რომ სკოლაში განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები სწავლობენ. 2012 სასწავლო წლიდან, საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი პროფილური სამინისტროს ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით, ,,ჩვენს სკოლასა“ და სემინარიაში ამოქმედდა უნიკალური პროექტი "პანსიონი", რომლის ფარგლებში ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან საგანგებოდ ირჩევა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე 10 ბავშვი, <u>**რომელთაც ეძლევათ მუსიკალური და ზოგადი**</u>

<u>განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობა თბილისში.</u> ბავშვები ცხოვრობენ საგანგებოდ შერჩეულ ოჯახებში. მათი მოვლისა და კვების ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. **<u>ამ პროცესის თანამონაწილეა ა(ა)იპ „ჩვენი სკოლა“.</u>** სკოლა აქტიურად არის ჩართული ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენის პროცესში და უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამის გარდა, სკოლა ცდილობს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, თავი მხრივ, შეღავათი გაუწიოს სწავლის საფასურზე ნიჭიერ მოსწავლეებს. ვიზიტის პერიოდში შეღავათით სარგებლობდა 14 ბავშვი, უფასოდ სწავლობდა 9 ბავშვი (პანსიონის პროგრამით). სკოლის მიზანია შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს ისწავლონ აღნიშნულ სკოლაში.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მუსიკალურ სემინარიასთან თანაარსებობის პირობებშია, სწავლება სკოლასა და სემინარიაში ურთიერთთავსებადი ცხრილით ხორციელდება, რაც ზოგავს ბავშვების დროს და **ხელს უწყობს როგორც ზოგადი განათლების, ისე სამუსიკო ხელოვნების საგნების სწავლის შედეგებზე თანაბარი ხარისხით გასვლას.** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სკოლა საათობრივ ბადეში ითვალისწინებს მუსიკასთან დაკავშირებული საგნების სწავლებას ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მ. დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამების შესაბამისად. მოსწავლე სწავლობს ერთ საგანმანათლებლო სივრცეში, ერთიან სასწავლო და საალმზრდელოთ სისტემაში.

საგულისხმოა სკოლის მიდგომა მოსწავლეთა მომავალ კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ იმდენად აქვს სკოლას გააზრებული მოსწავლეთა საჭიროებები (სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრის გამო), რომ რეკომენდაცია აქვს მიღებული შესაბამისი სამედიცინო პროფილის სპეციალისტებისგან სპორტის გაკვეთილთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოსწავლის პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გეგმა ა(ა)იპ “ჩვენი სკოლასა” და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიას შორის თანამშრომლობის ფარგლებში (მუსიკალური მიმართულებით). სამუსიკო სემინარიასთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს სკოლის ერთგვარ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში, რამდენადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნების ცხრილში შეტანილი ჯგუფური მეცადინეობების (მუსიკალური მიმართულებებით) გარდა, მოსწავლეებს უწევთ გამოსვლები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, სოლო კონცერტები, მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, მასტერკლასებში მონაწილეობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; ინტენსიური გამოსვლები სკოლის და სკოლის გარეთ სცენებზე; სოლო კონცერტები, კონცერტები ორკესტრთან ერთად, კონცერტები და შიდა მოსმენები; შემოქმედებითი პროექტები (ანსამბლი, გუნდი, სოლო შესრულება); მოსწავლეთა ჩართვა სკოლის კულტურულ ღონისძიებებში. სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს

მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად მოქნილად იმოქმედოს და დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიულ განვითარებაში ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.5.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	*1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (**22.04.2026-21.04.2027**) სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ 400 კვ.მ ფართის და მოძრავი ქონების შემდგომი 10 წლით უსასყიდლოდ გადაცემის თანხმობის მოპოვება.* *2. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (**22.04.2026–22.04.2027წწ.**) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟება.* ***(იხ. ინდიკატორი)***
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	*სასურველია, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის უფრო მეტი გამჭირვალობისთვის მშობლის სტატუსით შერჩეულ იქნას ისეთი კანდიდატი, ვინც არ იქნება ერთდროულად სკოლის თანამშრომელი.* *(იხ. ინდიკატორი)*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	• *სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე შედგენილ სამოქმედო გეგმაში შესასრულებელი აქტივობებისთვის განსაზღვრული იყოს მათი შესრულების საორიენტაციო ვადები;* • *სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სკოლის დებულების თანახმად არის სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (მუხლი 9, პუნქტი 7).* *(იხ. ინდიკატორი)*
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის	*სასურველია, სკოლის იდენტიფიცირების მიზნით შენობას გარე ფასადზე ჰქონდეს სკოლის სახელწოდების შესაბამისი აბრა, რადგანაც*

	შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას აქვს მხოლოდ სამუსიკო სემინარიის აღმნიშვნელი აბრა.* ***(იხ. ინდიკატორი)***
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(<u>დაწყებითი საფეხურის</u> ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები იყოს აღებული ესგ-დან.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** • *სასურველია, ყველა თემაში მკაფიოდ იყოს ფორმულირებული შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე. თითოეულ ერთეულში ნათლად უნდა ჩანდეს შემაჯამებელი პროდუქტი — რას ქმნიან მოსწავლეები და რა ფორმით წარადგენენ მიღწეულ შედეგებს სამიზნე ცნებებთან მიმართებით.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება;* • *სასურველია, ყველა შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს სრული და ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად. იდეაში მკაფიოდ მიეთითოს, თუ რა ცოდნა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში. ასევე სასურველია, კონტექსტ-მაგალითებში იყოს უშუალოდ ის მაგალითები, რომელზე*

		დაფუძნებითაც მოსწავლეები შეძლებენ ნამუშევრების შექმნას; • *კურიკულუმში გაემიჯნოს ერთმანეთს კონტექსტ-მაგალითის, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსების ველი.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები (ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.* ***<u>ტექნოლოგიები:</u>*** *სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში სვეტში ,,მაგალითი შედარებისთვის'' მიეთითოს კონკრეტული, უკვე მზა რესურსები, სურათის ან ბმულის სახით, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს წარმოდგენა შეექმნება იმ დავალების პროდუქტზე, რასაც შუალედური/შემოქმედებითი დავალება გულისხმობს.* ***<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:</u>*** *სასურველია, საგნობრივ კათედრებზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას. დაწყებითი საფეხურის მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებების კრიტერიუმების მოდიფიცირება შესაძლებელია ისე, რომ მაქსიმალურად მეტი ცნება დამუშავდეს კონკრეტულ თემაში. ზოგიერთ თემაში შესაძლებელია ყველა ცნების დაფარვა;* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** • *სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (,,მე და საზოგადოებაში'' III-IV კლასის კურიკულუმი პირველ სავალდებულო თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები ზრუნვა, ინსტისტუცია, პიროვნება);*

		• *კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები (ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი;* • *ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;* • *კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს (მაგ: I უცხ.დაწყ.1);* • *კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი;* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ქუდში სრულყოფილად იქნეს მითითებული სკოლის სრულყოფილი დასახელება; მიმდინარე აკადემიური სასწავლო წელი; წლიური საათების რაოდენობა; ძირითადი სასწავლო რესურსი (კლასი, ავტორი, გამომცემლობა, წელი), საგნობრივი სტანდარტის სავალდებულო თემატური ბლოკები და მასთან მიმართებაში გაიწეროს თემები;* • *სამიზნე ცნებებთან ერთად აუცილებელია, გაწერილი იყოს ის ქვეცნებები, რომელსაც თემის ფარგლებში ამუშავებს პედაგოგი;* • *თემის ფარგლებში საკითხები გაიწეროს დეტალურად და მოხდეს დაკონკრეტება, რაც გულისხმობს იმ შესასწავლი საკითხების დეტალიზებას, რომელიც არჩეული თემის ფარგლებში უნდა შეასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს. საკითხები შესაძლებელია გაიწეროს ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით;*

		• *კურიკულუმის თემის ფარგლებში გაიწეროს ერთი შემოქმედებითი/პროექტული ტიპის დავალების პირობა, რომელიც იქნება დეტალური და ჩაშლილი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი, რომელიც შეაჯამებს თემის ფარგლებში მოსწავლის ცოდნას.* ***<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:</u>*** • *ბუნებისმეტყველების II კლასის კურიკულუმში მოსწავლის ბარათში შეცვალონ სამიზნე ცნებები მოქმედი სტანდარტის შესაბამისად;* • *III კლასის კურიკულუმში მიუთითონ ის შემოქმედებითი დავალება, რომელიც წარმოდგენილია კურიკულუმში, დაამატონ საკითხები;* • *სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.;* • *ქართულის II კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაემატოს ქვეცნებები.* • *III და IV კლასის ქართულის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების სვეტში მიუთითონ დავალების სათაური.* • *მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში დაემატოს თემები და კონტექტ-მაგალითებს დააკვირდნენ. დამუშავდეს თემაში სამივე სამიზნე ცნება.* • *სასურველია, მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს ქვეცნებები. კარგი იქნება, თუ ოთხივე საგნის კურიკულუმებში წარმოადგენილი იქნება აქტივობები, რომელსაც იყენებებენ შემოქმედებითი დავალების შესრულებამდე.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;* • *კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ*

		რესურსები, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან; • *დაემატოს კონტექსტზე დაფუძნებული მაგალითები/კონტექსტ მაგალითების სახით.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *გადაიხედოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი სასწავლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები) სწავლების სამივე საფეხურზე და მოხდეს თანხვედრა ა(ა)იპ ჩვენის სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის N1 ოქმის, დანართი 2-ში კათედრის მიერ არჩეულ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალთან.* • *2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში დამუშავდეს და შეიქმნას ესთეტიკური აღზრდის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.* ***<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:</u>*** *სასურველია, ყველა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი.* (იხ. ინდიკატორი).
ინდიკატორი N 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *კათედრამ მეტად იმუშაოს დიფერენცირებული დავალებების შექმნაზე, მოახდინოს კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის ან დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** *სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან, დიფერენცირებული მიდგომების*

		გათვალისწინებით . ***ესთეტიკური აღზრდა:*** *სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს გამართული, მოსწავლისთვის გასაგები ენით მიწოდებული, დაკონკრეტებული, მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებული, მოდიფიცირებული და გათვალისწინებული იქნას დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.* ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:*** *სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები ოთხივე საგნის კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.* ***უცხოური ენები:*** • *სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;* • *სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიუთითებს არა მხოლოდ შეცდომაზე, არამედ გაუმჯობესების გზებზე;* • *გაკვეთილის პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა შეფასების ფორმა: თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, რუბრიკები, ჩეკლისტები .* ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი*

		შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. ***<u>ტექნოლოგიები:</u>*** *მოსწავლეთა შესაფასებლად კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლამ უნდა შეიმუშავოს და იხელმძღვანელოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით* **<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:</u>** • *სასურველია, საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები;* • *სასურველია, თუ I-IV კლასში შეიმუშავებენ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს;* • *სასურველია, მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში იკითხებოდეს კონკრეტული რეკომენდაციები და მიმართული იყოს სამიზნე ცნების დამუშავებისკენ.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, უცხო ენების კათედრამ გადახედოს სხდომის ოქმებს და შედარდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან, რათა აღმოიფხვრას ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერები, როგორიცაა დიაგნოსტიკური წერის შეფასების ზეგავლენა მოსწავლის სემესტრულ ნიშანზე.* • *კათედრის გადაწყვეტილებები სრულ თანხვედრაში მოვიდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან და ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან* • *განისაზღვროს ერთიანი ხედვა, რომელიც აისახება ყველა შესაბამის დოკუმენტში.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>***

		სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში. ***<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:</u>*** *სასურველია, მოეწყოს I-IV კლასის მასწავლებელთა მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***<u>ესთეტიკური აღზრდა</u>*** • *სასურველია, ახალი 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში მოხდეს ხელოვნების საგნის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების დოკუმენტის შემუშავება სწავლების სამივე საფეხურზე;* • *სასურველია, ხელოვნების კურიკულუმში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული, ძირითადი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი იყოს დეტალური (სახელმძღვანელოს დასახელება, კლასი, ავტორი/ავტორები, გამომცემლობა).* ***<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</u>:*** *სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები.* (იხ. ინდიკატორი)
სტანდარტი N2	<u>სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)</u>	*<u>რჩევა</u>*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** • *სასურველია, საბაზო საფეხურის ქიმიის მე-9 კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალებების იდეების შეტანა;* • *საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში თემის*

		ჩასწორება; • *საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები უნდა იყოს აღებული ესგ-დან.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, ყველა თემაში ჩანდეს მკაფიოდ შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე და აღძრავს მათ შემოქმედებითობისაკენ. თითოეულ თემაში უნდა ჩანდეს რითი ჯამდება, რას ქმნიან მოსწავლეები. მკაფიოდ მიეთითოს თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება;* • *ყველა შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს სრული და ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად. იდეაში მკაფიოდ მიეთითოს, თუ რა ცოდნა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში.* • *სასურველია, კონტექსტ-მაგალითებში იყოს უშუალოდ ის მაგალითები, რომელზე დაფუძნებითაც მოსწავლეები შეძლებენ ნამუშევრების შექმნას;* • *კურიკულუმში გაემიჯნოს ერთმანეთს კონტექსტ-მაგალითის, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსების ველი.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები(ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.* ***<u>ტექნოლოგიები:</u>*** *სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში სვეტში ,,მაგალითი შედარებისთვის'' მიეთითოს კონკრეტული, უკვე მზა რესურსები,*

		სურათის ან ბმულის სახით, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს წარმოდგენა შეექმნება იმ დავალების პროდუქტზე, რასაც შუალედური/შემოქმედებითი დავალება გულისხმობს. (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *მიზანშეწონილია, საგაზო საფეხურის ქიმიის მე-10 კლასის კურიკულუმებში საკითხთა კლასტერების ჩასწორება.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები (ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი;* • *ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;* • *კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს (მაგ: I უცხ.დაწყ.1);* • *კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში, რათა უზრუნველუოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი;* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ქუდში სრულყოფილად იქნეს მითითებული სკოლის სრულყოფილი დასახელება; მიმდინარე აკადემიური სასწავლო წელი; წლიური საათების რაოდენობა; ძირითადი სასწავლო რესურსი (კლასი, ავტორი, გამომცემლობა, წელი).*

		• *სამიზნე ცნებებთან ერთად აუცილებელია, გაწერილი იყოს ის ქვეცნებები, რომელსაც თემის ფარგლებში ამუშავებს პედაგოგი;* • *თემის ფარგლებში საკითხები გაიწეროს დეტალურად და მოხდეს დაკონკრეტება, რაც გულისხმობს იმ შესასწავლი საკითხების დეტალიზებას, რომელიც არჩეული თემის ფარგლებში უნდა შეასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს. საკითხები შესაძლებელია გაიწეროს ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით;* • *კურიკულუმის თემის ფარგლებში გაიწეროს ერთი შემოქმედებითი/პროექტული ტიპის დავალების პირობა, რომელიც იქნება დეტალური და ჩაშლილი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი, რომელიც შეაჯამებს თემის ფარგლებში მოსწავლის ცოდნას.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*<u>უცხოური ენები:</u>* • *სასურველია, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;* • *კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ რესურსები, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან;* • *დაემატოს კონტექსტზე დაფუძნებული მაგალითები/კონტექსტ მაგალითების სახით.* *<u>ესთეტიკური აღზრდა</u>* *2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში დამუშავდეს და შეიქმნას ესთეტიკური აღზრდის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>* *სასურველია, საგნის ფარგლებში სასწავლო წლის მანძილზე გაწერილ*

	მიდგომებს	*კურიკულუმში მოსწავლეებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები (VIII კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში მთელი სასწავლო წლის მანძილზე გაწერილი სამივე შემოქმედებითი პროდუქტი მოიაზრებს წერილის შექმნას). ასევე მთავარია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** *სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** *სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს გამართული, მოსწავლისთვის გასაგები ენით მიწოდებული, დაკონკრეტებული, მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებული, მოდიფიცირებული და გათვალისწინებული იქნას დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;* • *სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიუთითებს არა მხოლოდ შეცდომაზე, არამედ გაუმჯობესების გზებზე;*

		• *გაკვეთილის პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა შეფასების ფორმა: თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, რუბრიკები, ჩეკლისტები .* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.* ***<u>სპორტი:</u>*** *სასურველია, საბაზო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგენილი იყოს კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.2.1.1.		***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, უცხო ენების კათედრამ გადახედოს სხდომის ოქმებს და შედარდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან, რათა აღმოიფხვრას ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერები, როგორიცაა დიაგნოსტიკური წერის შეფასების ზეგავლენა მოსწავლის სემესტრულ ნიშანზე.* • *კათედრის გადაწყვეტილებები სრულ თანხვედრაში მოვიდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან და ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან* • *განისაზღვროს ერთიანი ხედვა, რომელიც აისახება ყველა შესაბამის დოკუმენტში.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო*

		წლის განმავლობაში. (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა მხოლოდ კონკრეტული საკითხის ცოდნებზე. ჩანდეს თუ რა ტიპის უნარებს ვამუშავებთ და დასწავლის ხარისხი. შეფასების სქემების შექმნის დროს ორიენტირად აღებული იყოს სტანდარტით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგები.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** *სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, შეიქმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან.* ***<u>ტექნოლოგიები:</u>*** *მოსწავლეთა შესაფასებლად კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით.* (იხ. ინდიკატორი)
*ინდიკატორი N*2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, მითითებულ იქნას ძირითადი სახელმძღვანელოს სრული დასახელება გამომცემლობა, ავტორები. შესაბამისობაში უნდა იყოს იმ რესურსებთან რასაც ვამუშავებთ.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *სასურველია, ახალი 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში მოხდეს ხელოვნების საგნის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების*

		დოკუმენტის შემუშავება სწავლების სამივე საფეხურზე. • *სასურველია, ხელოვნების კურიკულუმში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული, ძირითადი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი იყოს დეტალური (სახელმძღვანელოს დასახელება, კლასი, ავტორი/ავტორები, გამომცემლობა).* (იხ. ინდიკატორი)
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(<u>სამუალო საფეხურის</u>* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები უნდა იყოს აღებული ესგ-დან.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** *სასურველია, ყველა თემაში ჩანდეს მკაფიოდ შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე და აღძრავს მათ შემოქმედებითობისაკენ. თითოეულ თემაში უნდა ჩანდეს რითი ჯამდება, რას ქმნიან მოსწავლეები. მკაფიოდ მიეთითოს თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში.* ***<u>უცხოური ენები</u>*** • *სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება;* • *ყველა შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს სრული და ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად. იდეაში მკაფიოდ მიეთითოს თუ რა ცოდნა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში. ასევე სასურველია, კონტექსტ მაგალითებში იყოს უშუალოდ ის მაგალითები, რომელზე დაფუძნებითაც მოსწავლეები შეძლებენ ნამუშევრების შექმნას;* • *კურიკულუმში გაემიჯნოს ერთმანეთს კონტექსტ-მაგალითის,*

		მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსების ველი. ***<u>სახელმწიფო ენა</u>*** *სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები(ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *საშუალო საფეხურის ქიმიის მე-11 კლასების კურიკულუმებში საკითხთა კლასტერების ჩასწორება.* ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** • *გადაიხედოს სავალდებულო თემების შესაბამისობა ესგ-სთან (XI-XII კლასის ინტ.კურიკულუმი „გეოგრაფია");* • *კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები (ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი;* • *ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;* • *კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს (მაგ: I უცხ.დაწყ.1);* • *კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი;* • *XI კლასის, მეორე უცხოური ენის, გერმანულის კურიკულუმში შერჩეული იქნას სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს*

		მეორე უცხო ენის ფლობის დონის შესაბამისობას მოცემულ საფეხურზე. ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ქუდში სრულყოფილად იქნეს მითითებული სკოლის სრულყოფილი დასახელება; მიმდინარე აკადემიური სასწავლო წელი; წლიური საათების რაოდენობა; ძირითადი სასწავლო რესურსი (კლასი, ავტორი, გამომცემლობა, წელი);* • *სწავლების საშუალო საფეხურზე ხელოვნების კურიკულუმში გაიწეროს:* *საგნობრივი სტანდარტის სავალდებულო თემატური ბლოკები და მასთან მიმართებაში, თემები;* • *სამიზნე ცნებებთან ერთად აუცილებელია, გაწერილი იყოს ის ქვეცნებები, რომელსაც თემის ფარგლებში ამუშავებს პედაგოგი;* • *თემის ფარგლებში საკითხები გაიწეროს დეტალურად და მოხდეს დაკონკრეტება, რაც გულისხმობს იმ შესასწავლი საკითხების დეტალიზებას, რომელიც არჩეული თემის ფარგლებში უნდა შეასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს. საკითხები შესაძლებელია გაიწეროს ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით;* • *კურიკულუმის თემის ფარგლებში გაიწეროს ერთი შემოქმედებითი/პროექტული ტიპის დავალების პირობა, რომელიც იქნება დეტალური და ჩაშლილი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი, რომელიც შეაჯამებს თემის ფარგლებში მოსწავლის ცოდნას.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** • *ლაბორატორიული გაზის არასრულყოფილების მიუხედავად, მიზანშეწონილია პრაქტიკაში აქტიურად დაინერგოს ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარება იაფი, ხელმისაწვდომი რესურსების*

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*გამოყენებით. მსგავსი აქტივობების დეტალური აღწერილობა მრავლადაა წარმოდგენილი გრიფირებულ სახელმძღვანელოებში.* • *სასურველია, გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;* • *კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ რესურსები, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან;* • *დაემატოს კონტექსტზე დაფუძნებული მაგალითები/კონტექსტ მაგალითების სახით.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *გადაიხედოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი სასწავლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები) სწავლების სამივე საფეხურზე და მოხდეს თანხვედრა ა(ა)იპ ჩვენის სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის N1 ოქმის, დანართი 2-ში კათედრის მიერ არჩეულ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალთან;* • *2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში დამუშავდეს და შეიქმნას ესთეტიკური აღზრდის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** *კათედრამ მეტად იმუშაოს დიფერენცირებული დავალებების შექმნაზე, მოახდინოს კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირება სსსმ*

		მოსწავლისთვის ან დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები. ***<u>უცხოური ენები:</u>*** *სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპიური განვითარების მოსწავლეებისთვის (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით .* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** *სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს გამართული, მოსწავლისთვის გასაგები ენით მიწოდებული, დაკონკრეტებული, მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებული, მოდიფიცირებული და გათვალისწინებული იქნას დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** • *სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;* • *სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიუთითებს არა მხოლოდ შეცდომაზე, არამედ გაუმჯობესების გზებზე;* • *გაკვეთილს პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა შეფასების ფორმა: თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, რუბრიკები, ჩეკლისტები .* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი*

		კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. ***<u>სპორტი:</u>*** *სასურველია, საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***<u>უცხოური ენები</u>*** • *სასურველია, უცხო ენების კათედრამ გადახედოს სხდომის ოქმებს და შედარდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან, რათა აღმოიფხვრას ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერები, როგორიცაა დიაგნოსტიკური წერის შეფასების ზეგავლენა მოსწავლის სემესტრულ ნიშანზე.* • *კათედრის გადაწყვეტილებები სრულ თანხვედრაში მოვიდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან და ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან* • *განისაზღვროს ერთიანი ხედვა, რომელიც აისახება ყველა შესაბამის დოკუმენტში.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური,	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** *სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე*

	სამართლიანი	*ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა მხოლოდ კონკრეტული საკითხის ცოდნებზე. ჩანდეს თუ რა ტიპის უნარებს ვამუშავებთ და დასწავლის ხარისხი. შეფასების სქემების შექმნის დროს ორიენტირად აღებული იყოს სტანდარტით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგები.* ***<u>უცხოური ენები:</u>*** *სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების-ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით.* ***<u>სახელმწიფო ენა:</u>*** *სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან.* (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***<u>უცხოური ენები:</u>*** *მე-11კლასის, მეორე უცხოური ენის, გერმანულის კურიკულუმში შერჩეული იქნას სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს მეორე უცხო ენის ფლობის დონის შესაბამისობას მოცემულ საფეხურზე.* ***<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>*** • *სურველია, ახალი 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში მოხდეს ხელოვნების საგნის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების დოკუმენტის შემუშავება სწავლების სამივე საფეხურზე.* • *სასურველია, ხელოვნების კურიკულუმში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული, ძირითადი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი იყოს დეტალური (სახელმძღვანელოს დასახელება, კლასი, ავტორი/ავტორები, გამომცემლობა).* (იხ. ინდიკატორი)

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ა(ა)იპ ,,ჩვენ სკოლა" გაეცნო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემუშავებულ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს. ასევე, დანართების სახით წარმოადგინა მტკიცებულებები იმ საკითხებთან (რეკომენდაციებთან) დაკავშირებით, რომელთა გაუმჯობესება და შესწორება სკოლამ აღნიშნულ პერიოდში უზრუნველყო. კერძოდ,

<u>ინდიკატორი N3.4.1.1.</u> სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

დასკვნის პროექტში სკოლამ მიიღო რეკომენდაციები:

1. *უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება (22.04.2026წ. - 22.04.2027წ.);*

<u>**დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით**</u> წარმოადგინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2026 წლის 13 მაისს გაცემული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (N003110526), რომლის თანახმად, სკოლის შენობა ვარგისია უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის.

2. *უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (22.04.2026წ. - 22.04.2027წ.) კიბის უჯრედისა და სამუსიკო სემინარიის ტერიტორიის ნაწილის ვიდეომეთვალყურეობით უზრუნველყოფა, სადაც მოსწავლეებს მუსიკალური საგნების გაკვეთილისთვის გასვლა უწევთ.*

<u>**დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით**</u> წარმოადგინა 2026 წლის 20 მაისში შპს ,,ნეტისთან" გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება 6 სამეთვალყურეო კამერის თავისი შესაბამის აღჭურვილობასთან ერთად შეძენისა და კიბის

უჯრედებსა და სამუსიკო სემინარიის გარდამავალ სივრცეებში დამონტაჟების შესახებ. აღნიშნულ გარემობას ითვალსიწინებს ექსპერტთა ჯგუფი, რის გამოც დასკვნის პროექტში ,,მეტწილად" შეფასებული **ინდიკატორი 3.4.1.1. საბოლოო დასკვნაში შეფასდა,,სრული" შესაბამისობით.**

ინდიკატორი 3.5.1.3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

*დასკვნის პროექტში სკოლამ მიიღო რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში **(22.04.2026-21.04.2027)** ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციის შესახებ.*

სკოლამ **არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა** ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო ელექტრონული სარეგისტრაციო ჟურნალის გატარების დამადასტურებელი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და **ინდიკატორი 3.5.1.3. რომელიც დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ ,,მეტწილად" იყო შეფასებული, საბოლოო დასკვნაში შეფასდა ,,სრული" შესაბამისობით.**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

ა(ა)იპ ,,ჩვენ სკოლას" შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიასა და ხედვაში ასახულია სკოლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა, კერძოდ: სკოლის მისიაა: ,,ა(ა)იპ „ჩვენი სკოლა" თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიასთან თანაარსებობს. აქედან გამომდინარე „ჩვენი სკოლის" მისია ზოგადი და მუსიკალური საგნების ერთობლივი, შეთანხმებული სწავლებაა. ჩვენი მიზანია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ეფექტურად წარვმართოთ სწავლა-

სწავლების პროცესი და უზრუნველვყოთ ზოგადი და მუსიკალური საგნების საფუძვლიანი სწავლება. ასევე, ჩვენ მიზნად ვისახავთ მოსწავლეები ჩამოვაყალიბოთ არა მხოლოდ აკადემიური კუთხით ჩამოყალიბებულ ინდივიდებად, არამედ კრეატიულად მოაზროვნე, ემოციური ინტელექტისა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად, რომელთაც თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად სრული მზაობა ექნებათ".

სკოლის ხედვაა, რომ გამორჩეული მუსიკალური ნიჭის მქონე ბავშვებისათვის მაქსიმალურად ინტეგრირებული სასწავლო გარემოს შექმნით სკოლამ ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის გამოვლენას, როგორც მუსიკის, ისე ზოგადი განათლების მიმართულებით. სკოლის კურსდამთავრებულები შეძლებენ უმაღლესი სამუსიკო განათლების მიმართულებით მოიპოვონ წარმატება, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორსო დონეზე. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების ისეთ პიროვნებებად ჩამოყალიბება, რომლებიც შეიძენენ ცოდნას და განივითარებენ ემპათიისა და ტოლერანტობის გრძნობას. ეს ყოველივე დაეხმარება მათ, მოემზადონ თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებისათვის.

ინდიკატორი 1.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით შეუქმნას მოსწავლეებს უსაფრთხო, პოზიტიური და ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და ნიჭის გამოვლენა-განვითარებას. სკოლის უნიკალურობას განსაზღვრავს ის, რომ სკოლაში განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები სწავლობენ.

სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოებისთვის, რათა მათ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნონ და შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. სწავლება სკოლასა და სემინარიაში ურთიერთთავსებადი ცხრილით ხორციელდება, რაც ზოგავს ბავშვების დროს და ხელს უწყობს როგორც ზოგადი განათლების, ისე სამუსიკო ხელოვნების საგნების სწავლის შედეგებზე თანაბარი მაღალი ხარისხით გასვლას. სკოლაში დანერგილი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი განაპირობებს იმ საბაზისო ცოდნის შეძენასა და უნარ - ჩვევების გამომუშავებას, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის არა მხოლოდ უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო მიმართულებით სწავლის გაგრძელების, არამედ ნებისმიერი სხვა პროფილით უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. სკოლის ხედვის თანახმად, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, განვითარება და ადრეული ასაკიდან მათი პროფესიული ორიენტაცია

მნიშვნელოვანი შენატანია საზოგადოების განვითარების საქმეში, რომელსაც „ჩვენი სკოლა“ და სამუსიკო სემინარია ერთად ახორციელებს. **ინდიკატორი 1.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძ. N25/ს; 01.09.2023წ.), რომლის სხდომის ოქმშიც (ოქმი N1; 06.09.2023წ.) ვკითხულობთ, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული იყო სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ვერსიების შემუშავება და მათი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განხორციელდა ელექტრონულად forms-ის კითხვარების მეშვეობით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება არამარტო სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, არამედ დირექციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავებისას დაწესებულებამ მონაცემთა შეგროვებისთვის გამოიყენა კითხვარები https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSeKaabMYS45DHtmkMmagcB3i0uwUCy-2hZgBrIz5TwgUihiKA/viewform რომელიც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში. აღნიშნული დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითაც. გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მოსწავლეებს, მშობლებს და თანამშრომლებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სკოლის არსებულ ფილოსოფიას და ამასთანავე გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება, რამდენად ეთანხმებოდნენ ან რის ცვლილებას ისურვებდნენ ამ მიმართულებით და სხვ. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლის განხილვა/გაცნობა მოხდა მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებული ეტაპების შესაბამისად. შემუშავების პროცესში სკოლის მისია უცვლელი დარჩა, თუმცა შემუშავდა ახალი ხედვა და ღირებულებები, რომელიც დაამტკიცა სკოლის დირექტორმა 2023 წლის 07 სექტემბერს (ბრძ. N33/ს). **ინდიკატორი 1.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სკოლის ფილოსოფიას (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები), რამდენადაც იგი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე https://www.chveniskola.edu.ge/about-3 **ინდიკატორი 1.1.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ), სახელწოდებით „ჩვენი სკოლა“. **ინდიკატორი 1.1.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება „ა(ა)იპ „ჩვენს სკოლაში“ ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N25/ს; 01.09.2023წ.);
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1; 07.09.2023წ.;
- ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება „ა(ა)იპ „ჩვენს სკოლაში“ ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N33/ს; 07.09.2023წ.);
- ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1; 06.09.2023წ.;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- სკოლის ვებგვერდი https://www.chveniskola.edu.ge/about-3

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტის მე-7 მუხლით რეგულირდება ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი, რომლის დროსაც დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების საბოლოოდ შემუშავებულ დოკუმენტებში ასახვას. **ინდიკატორი 1.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა შედგება სკოლის შესახებ მოკლე ინფორმაციის, სკოლის ფილოსოფიის, SWOT ანალიზის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებისგან. დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ბრძ. N25/ს; 01.09.2023წ.) მიერ მოხდა სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის განხილვა (სხდომის ოქმი N2; 14.09.2023წ.), ხოლო შემდეგ პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა წარმოდგენილი პროექტი (სხდომის ოქმი N2; 15.09.2023წ.). დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში (ბრძ. N41/ს; 15.09.2023წ.) განისაზღვრა სკოლის მისიის შესაბამისი პრიორიტეტული

ამოცანები და მიზნები. სკოლის შესაძლებლობისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება/მოვალეობების განხორციელებისთვის სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსების განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და ემსახურება სკოლის მისიისა და ხედვის რეალიზებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფების, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, რითაც დასტურდება რომ სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას ხელმძღვანელობს მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებული პროცესებით, რაც მიმართულია სკოლის მისიის განხორციელებაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის თვითშეფასებიდან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1; 02.09.2025წ. სამუშაო ჯგუფმა 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგრიშის გათვალისწინებით, შემუშავებულ SWOT ანალიზზე და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით განსაზღვრა თუ როგორ აპირებს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიმართულებების შესრულებას 2025-2026 წლისთვის. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა ჩამოაყალიბა ის აქტივობები, რაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზსა და თვითშეფასებას. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მეთოდოლოგიის დოკუმენტის (მუხლი 9, პუნქტი 4) შესაბამისად, მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ

ერთეულებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ჯგუფი მიიჩნევს, რომ ყველა ამოცანის შესაბამისი აქტივობის განხორციელების ვადები რეალისტურია. **ინდიკატორი 1.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2; 14.09.2023წ.;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N19/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ბრძ. 15/ს; 25.06.2025წ.);
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2; 15.09.2023წ.;
- ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1; 02.09.2025წ.;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ (ბრძ. N41/ს; 15.09.2023წ.);
- SWOT ანალიზი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-11 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს, რომლის თანახმად სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე). სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა", „ნაწილობრივ შესრულდა", „არ შესრულდა". **ინდიკატორი 1.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-11 თავის მიხედვით სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს აღნიშნული მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომაზე წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის წევრთა მიერ ხორციელდება სამოქმედო გეგმის აქტივობებისთვის შესაბამისი სტატუსების მინიჭება: ,,ნაწილობრივ შესრულდა", „არ შესრულდა", „შესრულდა". სამუშაო ჯგუფის შეხვედრას აოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ყოველივე დასტურდება როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის" სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2; 27.06.2025წ. ჯგუფის შემადგენლობაში სკოლის ადმინისტრაციის გარდა, განსაზღვრული იყო როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ასევე მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა წარმომადგენლები. მშობლის სტატუსით ჯგუფის შემადგენლობაში ფიქსირდებოდა სკოლის ერთ-ერთი თანამშრომელი, კათედრის ხელმძღვანელი. ამიტომ

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა: სასურველია, მონიტორინგის პროცესის უფრო მეტი გამჭირვალობისთვის მშობლის სტატუსით შერჩეულ იქნას ისეთი კანდიდატი, ვინც არ იქნება ერთდროულად სკოლის თანამშრომელი.** სკოლის წარმომადგენლებმა გაიზიარეს აღნიშნული რჩევა და აღნიშნეს, რომ მომავალში ამ რჩევას გაითვალისწინებენ. **ინდიკატორი 1.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროების მექანიზმები (მუხლი 12), კერძოდ: ეს შეიძლება განხორციელდეს: სკოლის ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის მეშვეობით ან სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფაზე. სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობის მიზნით სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N1; 09.09.2025წ.), ასევე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2; 27.06.2025წ.). ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

მეთოდოლოგიის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების პირველი ანგარიში უნდა მომზადდეს 3 წლის შემდეგ. შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში (2026 წლის 21-22 აპრილი) სკოლას ვერ ექნებოდა სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგები (სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2023 წელს). რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებს, ის ასახულია SWOT-ანალიზში, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 1.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ (ბრძ. 15/ს; 25.06.2025წ.);
- ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2; 27.06.2025წ.;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1; 09.09.2025წ.;
- 2024-2025 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- სკოლის ვებგვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ ორგანიზაციული წყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით (ორგანოგრამა)(ბრძ.N26/ს; 01.09.2025წ.), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, ხოლო სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით (ბრძ.N27/ს; 01.09.2025წ.). გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია ვინ ვის დაქვემდებარებაშია და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. სკოლის მიერ განსაზღვრული თითოეული

სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობა დაზუსტებულია ა(ა)იპ ჩვენი სკოლის დებულების დოკუმენტით (ბრძ.N28/ს; 01.09.2025წ.), რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტატუსს, საქმიანობის მიზნებს, ადგენს სკოლის სტრუქტურას და მართვის ძირითად წესებს, სასკოლო საზოგადოების წევრთა (მათ შორის, მოსწავლეთა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის) ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს, ასევე, სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს საერთო კრებას, გამგეობას, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს და ტექნიკურ პერსონალს. საერთო კრება და გამგეობა წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის წესდებით.

სკოლის დირექციაში შედის: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში. სკოლის ადმინისტრაციაში შედის: საქმეთა მმართველი, ბუღალტერი, იურისტი, ექიმი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, სოციალური მედიის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. სკოლის ტექნიკურ პერსონალში შედის: სამეურნეო ნაწილის გამგე, მებაღე, წესრიგის მენეჯერი, დარაჯი (1), დამლაგებელი (3). სკოლის სტრუქტურისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები და რგოლები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები (5). დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ჩვენი სკოლის დებულება (ბრძ.N28/ს; 01.09.2025წ.), რომელიც ადგენს სკოლის სტრუქტურას და მართვის ძირითად წესებს, სასკოლო საზოგადოების წევრთა (მათ შორის, მოსწავლეთა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის) ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს, ასევე, სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. გარდა ამისა, სკოლაში მიმდინარე პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.), სასკოლო სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სხვა. სკოლის მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში კონკრეტული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები შეესაბამება პოზიციით განსაზღვრულ თანამდებობრივ აღწერილობას. თითოეული თანამშრომელი თავისი ფუნქცია-მოვალეობის ფარგლებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მაგ: პედაგოგიური საბჭოს, კათედრების სამოქმედო გეგმები და ანგარიშები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **ინდიკატორი 3.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“დირექტორის ბრძანება ,, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ.N44/ს; 15.09.2023წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“დირექტორის ბრძანება ,, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ცვლილების შესახებ“ (ბრძ.N25/ს; 21.04.2026წ.);
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის დებულება (ბრძ.N28/ს; 01.09.2025წ.);
- საშტატო განრიგი (ბრძ.N27/ს; 01.09.2025წ.);
- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)(ბრძ.N26/ს; 01.09.2025წ.);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ემისის ბაზა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.);

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებს. სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ.), რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შექმნას გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში. დოკუმენტით განსაზღვრულია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები; ღირებულებები; ადამიანური რესურსების პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის მექანიზმები; თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და სხვ. აღნიშნული წესით რეგულირდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა; ასევე მოტივაციის მექანიზმები.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.), რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსის წესით. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება მასწავლებლის დასაქმების გვერდზე https://teacherjobs.ge/. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო მასალა და დადგინდა, რომ შერჩევა განხორციელდა შესაბამისი რეგულაციების დაცვით. სკოლაში დასაქმებულია ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემით" განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად ხდება თანამშრომელთა წახალისება. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა პედაგოგთა წახალისების მტკიცებულებები.

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები მათი სტატუსის შესაბამისად. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის მექანიზმები. ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ.N44/ს; 15.09.2023წ.) გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების პრევენციული (მუხლი 6) და ინტერვენციული მართვის მექანიზმები (მუხლი 17). კერძოდ, პრევენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების კუთხით, შეუფერხებელი

მუშაობის უზრუნველყოფისთვის, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. დოკუმენტის თანახმად, სასწავლო წლის დასასრულიდან ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე წინასწარ განისაზღვრება ახალი პოტენციური კლასების რაოდენობა და გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, ცხადდება კონკურსი ადამიანური რესურსების მოსაზიდად და სხვ. ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების კუთხით, კი თანამშრომლის დროებით სკოლაში არყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალეობების გადანაწილება ხანმოკლე ვადით ხდება შიდა კადრზე იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესები. დოკუმენტში გაწერილია ამ მიმართულებით დელეგირების პროცესი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

პრევენციული პოლიტიკის მატარებელია ასევე სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციები სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების/გამოუცხადებლობის შეტყობინების წესის და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან (ადმინისტრაცია, მოსწავლეები) გასაუბრებით დადგინდა, სკოლაში მასწავლებლის წინასწარ ცნობილი ან გაუთვალისწინებელი გაცდენის შეთხვევაში, სკოლა მყისიერად აკეთებს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირებას, გაკვეთილების გადანაცვლებას იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის ჩანაცვლებას გაკვეთილზე.

სკოლაში ხორციელდება ასევე თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ახდენს რეაგირებას არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის კუთხით მნიშვნელოვანია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები სკოლაში რეგულირდება: ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად და ასევე ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (ბრძ.N44/ს; 15.09.2023წ.) შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების წესი კანონმდებლობის შესაბამისად (მუხლი 6). სკოლა გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო ვადების შესახებ. დირექტორი ბრძანებით ქმნის

საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიებს. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების“ კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილია კონკურსის წესით განსაზღვრული პროცესების შესაბამისი საკონკურსო მასალები: განაცხადი, საკონკურსო კომისიის ოქმის შექმნის ბრძნება, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები შესაბამისი გადაწყვეტილებები. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს და ასევე კანონმდებლობის შესაბამის ცნობებს: ,,ნასამართლეობის“, ,,უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. სკოლის მიერ კონკურსის შესახებ განაცხადი კონკურსის წესის მიხედვით არის განთავსებული https://teacherjobs.ge/. **ინდიკატორი 3.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ,, ჩვენი სკოლის“ დებულება (ბრძ.N28/ს; 01.09.2025წ.), რომლითაც განსაზღვრულია სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. emis-ის ბაზის შესწავლის შედეგად ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია: 1 - მასწავლებლობის მაძიებელი; 17 - უფროსი მასწავლებელი; წამყვანი - 3; მოწვეული-2; გახანგრძლივებულის 2 მასწავლებელი. მოწვეულ მასწავლებლებთან დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა. გამომდინარე იქიდან, რომ ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა” დამატებითი სავალდებულო საგნის სახით მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ მუსიკალურ საგნებს მაგ: სხვადასხვა საფეხურზე სოლფეჯიო, მუსიკის სამყარო, მუსიკალური ლიტერატურა, მუსლიტერატურის პრაქტიკუმი, გუნდი, მუსიკის ელემენტარული თეორია, ქართული მუსლიტერატურა, ჰარმონია, მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ანალიზი, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, კონსერვატორიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სკოლაში სამუსიკო მიმართულების საგნების სწავლებას უზრუნველყოფს 7 პედაგოგი, რომლებთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია სამუსიკო სემინარიის მიერ.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი ექიმი, რომელსაც აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ექიმის დიპლომი) და ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს „საოჯახო მედიცინის“ სპეციალობაში.

სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის დადგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა მიერ პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს სკოლის მიერ განსაზღვრულ შესაბამისი პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. **ინდიკატორი 3.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოებასთან (სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები) გასაუბრებითა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში სამუშაო ჯგუფებში მონაწილოებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები (5), პედაგოგიური საბჭო, რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ, მსჯელობენ და შეიმუშავებენ სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტებს და პროცესებს განახორციელებენ მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დებულების დოკუმენტით (მუხლი 10, პუნქტი 13) განსაზღვრულია, რომ დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში დირექტორთან შეაქვს წინადადებები სკოლის თანამშრომლების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ასევე შინაგანაწესის (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.) 27-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულთა წახალისების ფორმები. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის მქონე სამუშაოს შესრულებისათვის და სხვა სამსახურეობრივი დამსახურებისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა; გ) ფულადი პრემიის გადაცემა; დ) წარმატების საჯაროდ აღიარება/გაზიარება.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რაც დასტურდება როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ პედაგოგიურ საბჭოზე საჯაროდ ხდება წარმატებული მასწავლებლების წარდგენა და მადლობის

გამოცხადება. სკოლამ წარმოადგინა მაგ: ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ (ბრძ. N03/ს; 10.02.2025წ.); ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ (ბრძ. N02/ს; 20.01.2025წ.). **ინდიკატორი 3.1.2.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის დებულება (ბრძ.N28/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ.N44/ს; 15.09.2023წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ცვლილების შესახებ“ (ბრძ.N25/ს; 21.04.2026წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ (ბრძ. N03/ს; 10.02.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ (ბრძ. N02/ს; 20.01.2025წ.);
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- საკონკურსო კომისიის ოქმიN1; 08.01.2026წ.; ოქმი N2. 09.01.2026წ.
- სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის გამოცხადებისა და გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N08; 30. 01.2026წ.);
- სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გაფორმებული მემორანდუმი;

- პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის პროცესი ძირითადად განისაზღვრება სკოლის მიერ შემუშავებული რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტით, კერძოდ ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ პერსონალის შეფასების წესით (ბრძ. N31/ს; 01.09.2025წ.) და ასევე ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (ბრძ.N44/ს; 15.09.2023წ.).

პერსონალის შეფასების წესი ადგენს სკოლის პერსონალის შეფასების პრინციპებს, პროცედურებს, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და ანგარიშგების წესებს. მასწავლებლის შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, ხოლო სხვა პერსონალის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ. პერსონალის შეფასებაში ხელმძღვანელის შეფასებას ემატება მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან შეფასება იმ პერსონალის შემთხვევაში, რომელსაც შეხება აქვს მოსწავლეებთან.

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძ.N44/ს; 15.09.2023წ.), რომლის მე-13 და მე-14 მუხლი განსაზღვრავს სკოლის პერსონალის შეფასების პროცესს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და

ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს უშუალო ხელმძღვანელის მიერ. ასევე შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება; სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, პერსონალის შეფასება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით და უკუკავშირი ზეპირსიტყვიერადაც ხორციელდება. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება ხდება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგის შედეგად. თავად საგაკვეთილო პროცესი ფასდება წინასწარ შეთანხმებული შეფასების სქემის მიხედვით. სკოლის დირექტორის მოადგილე აკვირდება თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების პროცესს და ანალიზის საფუძველზე ადგენს პროფესიულ საჭიროებებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილზე დასწრების ფორმები, პერსონალის შეფასების ფორმები, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება; მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს და გააზრებულად იყენებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს სკოლის რეგულაციების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები-ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ პერსონალის შეფასების წესი (ბრძ. N31/ს; 01.09.2025წ.) და ასევე ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ.), კათედრის დებულება და სხვ. იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის (კითხვარების მეშვეობით) შედეგები და ანგარიში. ასევე, მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში ხორციელდება საჭიროებების იდენტიფიცირება და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე გეგმის შემუშავება, რაც ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის აქტივობების გეგმა, რომელთა ნაწილი სკოლამ უკვე განახორციელა სხვადასხვა ტრენინგების სახით და სასწავლო წლის დასრულებამდე, სკოლის წარმომადგენელლთა განცხადებით, განახორციელებს დარჩენილ აქტივობებს. ამ აქტივობებისთვის სკოლა ორიენტირებულია როგორც გარე რესურსების, ასევე შიდა რესურსების გამოყენებაზე, რაც კიდევ უფრო ამყარებს ორგანიზაციულ თანამშრომლობით კულტურას. მათ შორის დაგეგმილი იყო

როგორც ფასიანი, ასევე უფასო ტრენინგები. მაგ: რთული ქცევის მართვა (პრაქტიკული კომპონენტები და დაგეგმვა) მოწვეული სპეციალისტის ჩართულობით (ფასიანი ტრენინგი); შიდა სასკოლო ტრენინგები კურიკულუმის, შემაჯამებელი დავალებების შექმნა/წარმოების თაობაზე დაგეგმილი იყო მოწვეული სპეციალისტის ჩართულობით; შიდასასკოლო ტრენინგი-საგნობრივი სწავლების მეთოდიკაზე დირექტორის მოადგილის და საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელთა ჩართულობით და სხვ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰყავდა მასწავლებელი სტატუსის გარეშე, რაც დასტურებოდა emis-ის მონაცემებითაც. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი გაირკვა, პერსონალი მუდმივად იღებს სკოლისგან ინფორმაციას ტრენინგების შესახებ, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რაც ემსახურება კარიერულ ზრდას. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. გარდა ამისა, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ.) დოკუმენტის მე-10 მუხლი არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, ხელს უწყობს პედაგოგების მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. **ინდიკატორი 3.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ეს პროცესი რეგულირდება ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ.); აღნიშნული წესი გასაზღვრავს ახალ თანამშრომელთან ურთიერთობის დაწყების წესსა და პირობებს. განსაზღვრულია დირექციის ვალდებულებები, რომელმაც ახალ თანამშრომელს უნდა გააცნოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები, სკოლის შინაგანაწესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, სამუშაო გრაფიკი. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან ინტერვიურებისას აღნიშნეს, ხდება მასწავლებლის წარდგენა და მისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასკოლო რეგულაციების გაცნობა. სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ასევე, გაწერილია ის აქტივობები, რაც უნდა განხორციელდეს სკოლის მიერ და ამ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ შემუშავებული ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ.), წახალისების ღონისძიებები ხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს შინაგანაწესით (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.) განსაზღვრულ წახალისების ფორმებს (27-ე მუხლი). შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის მქონე სამუშაოს შესრულებისათვის და სხვა სამსახურეობრივი დამსახურებისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა; გ) ფულადი პრემიის გადაცემა; დ) წარმატების საჯაროდ აღიარება/გაზიარება.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საჯაროდ პედაგოგიურ საბჭოზე ხდება წარმატებული მასწავლებლების წარდგენა და მადლობის გამოცხადება. სკოლამ წარმოადგინა მაგ: ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ“ (ბრძ. N03/ს; 10.02.2025წ.); ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ“ (ბრძ. N02/ს; 20.01.2025წ.). სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, ყოველთვის აქვთ მზაობა მოისმინონ და შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინონ მასწავლებლის ნებისმიერი ინიციატივა. აღნიშნეს, როგორ უწყობენ ხელს პერსონალს სხვადასხვა პროექტებში ჩართვაში ინფორმაციის მიწოდებითა თუ რეკომენდაციების გაწევით. ასევე ეს შეიძლება ეხებოდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ინიციატივასაც. **ინდიკატორი 3.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ პერსონალის შეფასების წესი (ბრძ. N31/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ.);
- გაკვეთილზე დასწრების ფორმები;
- პერსონალის შეფასების ფორმები;
- კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის;
- სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.);

- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის დებულება (ბრძ. N28/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის"დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ცვლილების შესახებ" (ბრძ. N25/ს; 21.04.2026წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ (ბრძ. N03/ს; 10.02.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ (ბრძ. N02/ს; 20.01.2025წ.);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლა ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით (ბრძ. N17/ს; 31.05.2024წ.), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის მისიის განხორციელებას, სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათ განვითარებას. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში მიმდინარე ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების რეგულირებისთვის შექმნილია ცალკეული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებშიც გაწერილია თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტულ პროცესებზე და შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფაზე. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას. შიდა შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" პრინციპებს. მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ დემინგის ციკლის შესაბამისად. დეტალურად არის აღწერილი სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ეტაპები და რა წარმოადგენს შემოწმების ობიექტს თითოეულ ეტაპზე. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ხარისხის მიმართულებით, რომელშიც აღწერილია: პროცესი; რისკების აღწერა და რისკების დონე, დაგეგმილი აქტივობა და შესრულების ინდიკატორი, თუმცა სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული აქტივობების შესრულების ვადები. აქედან გამომდინარე, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **<u>რჩევა: 1. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე შედგენილ სამოქმედო გეგმაში შესასრულებელი აქტივობებისთვის განსაზღვრული იყოს მათი შესრულების საორიენტაციო ვადები; 2. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სკოლის დებულების თანახმად არის სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (მუხლი 9, პუნქტი 7).</u>** დირექტორის მოადგილე შეიმუშავებს, ნერგავს და მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო მექანიზმებსა და სტანდარტებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს შეუწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას, თუ რა კუთხით სჭირდება სასწავლო პროგრამული, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის კუთხით გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების/აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. სკოლის საჭიროებების დადგენით, დირექცია შეძლებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის შედეგები/ანალიზი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N17/ს; 31.05.2024წ.) გვაწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შესახებ. პროცესები აღწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა აღწერილია ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით აღწერილია სკოლის მმართველობითი პროცესები, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის მუშაობის დებულებით, საქმისწარმოების წესით და სხვა. სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროცესების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის მმართველობითი და ძირითადი პროცესების ურთიერთგავლენა და მნიშვნელობა. **ინდიკატორი 3.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ,,ჩვენ სკოლაში" განცხადება/საჩივრის განხილვის წესის დოკუმენტი (ბრძ. N33/ს; 14.06.2024წ.), რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. დოკუმენტი აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს. მასში განსაზღვრულია სხვადასხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გასაჩივრების წესი, უარის თქმის საფუძვლები. საჩივარს განიხილავს უფლებამოსილი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციის ფარგლებსაც განეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. საჩივრის განხილვის ვადად განსაზღვრულია 1 თვე. მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება პირს შეუძლია სკოლის დირექტორის სახელზე, რომელიც ბრძანებით ქმნის საპრეტენზიო კომისიას.

როგორც ექსპერტების მიერ მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, კლასის დამრიგებლების მიერ ხდება მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობებისა და შინაგანაწესის გაცნობა. ასევე, სასკოლო საზოგადოება ეცნობა სკოლის შინაგანაწესს. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. გარდა ამისა, სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება მოცემულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. **ინდიკატორი 3.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას ჰყავს წესრიგის მენეჯერი, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი; სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. სკოლას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ნებართვაზე თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული აქვს შეთანხმება. **ინდიკატორი 3.3.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N17/ს; 31.05.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ.);
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ხარისხის მიმართულებით;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დებულება (ბრძ. N28/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენ სკოლაში“ განცხადება/საჩივრის განხილვის წესი (ბრძ. N33/ს; 14.06.2024წ.);
- ბიბლიოთეკის დებულება;
- საქმისწარმოების წესი (ბრძ. N1/კ-143; 25.12.2025წ.);
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის (ბრძ. N45/ს; 14.06.2024წ.), დოკუმენტით რეგულირდება საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები (მუხლი 4); სკოლა სხვადასხვა არხით იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრებისა და მშობელთა კრებების დროს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციითა და სოციალური ქსელების საშუალებით. სკოლას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გამოცდილება აქვს, რასაც მოწმობს სკოლის ფილოსოფიისა თუ სხვა დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კერძოდ, კვლევები და გამოკითხვები forms - კითხვარის საშუალებით, ასევე მშობელთა კრებებზე და დამრიგებლის საათზე განხილულ საკითხებთან მიმართებაში მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება. სკოლის ვებგვერდზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში გაზიარებულ იქნა დოკუმენტების სამუშაო ვერსიები, სადაც პირდაპირი მითითება იყო, სკოლის საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისგან რეკომენდაციების მიღება. ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებები წარმოდგენილია ოქმებისა და კითხვარის სახით. **ინდიკატორი 3.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების) მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები.

გარდა ამისა, სკოლაში სხვადასხვა ჯგუფებია შექმნილი, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ კოლეგიური პრინციპით. ასეთი ჯგუფებია მაგ: სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის ჯგუფი და სხვა. ყველა ამ ჯგუფს აქვს სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობები, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შექმნის ბრძანებებითა და შეხვედრების ოქმებით. **ინდიკატორი 3.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ. N45/ს; 14.06.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მშობელთან ურთიერთობის წესი (ბრძ. N40/ს; 01.09.2025წ.);
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს წესრიგის მენეჯერი; შესვენებაზე დერეფნებში ხდება მასწავლებელთა მორიგეობა. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მორიგეები აკონტროლებენ, რომ არ მოხდეს თვითნებურად საგაკვეთილო პროცესის მიტოვება მოსწავლის მიერ. გარდა ამისა, როგორც მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებითაც დადგინდა, დამრიგებლები ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს და უნებართვო გაცდენების შემთხვევაში აცნობებენ დირექციას, ასევე მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაცდენების შესახებ. სკოლას ჰყავს ასევე დარაჯი, რომელიც აწარმოებს შენობის შესასვლელში უცხო პირთა გადაადგილებას შესაბამის ჟურნალში. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ იცნობდნენ თავიანთ უფლებებსა და წესებს. სკოლის გარე პერიმეტრი სრულად შემოღობილია და დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება.

- ☑ დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ **უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა (ბრძ.N33/ს; 01.09.2025წ.),** რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია <u>**ვიდეოსათვალთვალო სისტემით.**</u> თუმცა, შენობის ვიზუალური დათვალიერებისას როგორც დადგინდა, კიბის უჯრედი და სამუსიკო სემინარიის ტერიტორიის ნაწილი, სადაც მოსწავლეებს უწევთ მუსიკალური საგნების გაკვეთილისთვის გასვლა, საჭიროებს ვიდეოკამერების დამატებას. ამიტომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა **შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა გეგმავს შეიძინოს ვიდეოკამერები, მიმართოს სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით შენობის სრულად აღჭურვასთან დაკავშირებით**; სკოლას დირექტორის ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის წვდომაზე

უფლებამოსილი პირი (ბრძ. N43/ს; 01.09.2025წ.). სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „ჩვენს სკოლაში“ ვიდეომონიტორინგის წესი (ბრძ. N84/ს; 11.11.2024წ.);

- ☑ სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა** (ბრძ. N7; 07.02.2024). დაწესებულებამ წარმოადგინა შეთანხმების წერილიც (23.08.2024. MIA 2 24 02588567). სკოლას დამტკიცებული აქვს **საგანგებო შტაბი** (ბრძ. N51/ს; 07.08.2024წ.);
- ☑ 2024 წლის 22 ნოემბერს სკოლამ **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გააფორმა ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ** N111/11 სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (MIA 0 24 03567440); ასევე წარმოადგინა განცხადება (N21; 20.04.2026წ.) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი-სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N308 მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახეებიდან: **შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადების თაობაზე;** სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა;
- ☑ სკოლას **ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა,** მაგრამ წარმოადგინა სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წერილი (17.03.2026წ. KA000066976280626) **ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში** შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ **დასკვნის** მომზადების მიზნით. სკოლას ხელშეკრულება აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან (ხელშეკრულების ნომერი 17.03.2026წ. 2000412126);
- ☑ სკოლას **ჰყავს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი** (სერტიფიცირებული სპეციალისტი). სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „ჩვენის სკოლის“ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები (ბრძ. N55/ს; 15.09.2025წ.), რომლის უმთავრესი მიზანია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ წარმოდგენილია: რისკების შეფასება; სამოქმედო გეგმა; ა(ა)იპ „ჩვენის სკოლის“ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები (ბრძ. N55/ს; 15.09.2025წ.); შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვების მიზნით დაწყებული პროცედურების დასრულებას გეგმავდა 2027 წლის 22 აპრილს. აქედან გამომდინარე, დასკვნის პროექტში სკოლას მიეცა **რეკომენდაცია:**

1. უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება (**22.04.2026წ. - 22.04.2027წ.**);

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით</u> წარმოადგინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2026 წლის 13 მაისს გაცემული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (N003110526), რომლის თანახმად, **<u>სკოლის შენობა ვარგისია უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის.</u>**

2. უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (22.04.2026წ. - 22.04.2027წ.) კიბის უჯრედისა და სამუსიკო სემინარიის ტერიტორიის ნაწილის ვიდეომეთვალყურეობით უზრუნველყოფა, სადაც მოსწავლეებს მუსიკალური საგნების გაკვეთილისთვის გასვლა უწევთ.

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით</u> წარმოადგინა 2026 წლის 20 მაისში შპს ,,ნეტისთან" გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება 6 სამეთვალყურეო კამერის შესაბამის აღჭურვილობასთან ერთად შეძენისა და კიბის უჯრედებსა და სამუსიკო სემინარიის გარდამავალ სივრცეებში დამონტაჟების შესახებ. აღნიშნულ გარემობას ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფი, რის გამოც დასკვნის პროექტში ,,მეტწილად" შეფასებული **<u>ინდიკატორი 3.4.1.1 საბოლოო დასკვნაში შეფასდა,,სრული" შესაბამისობით.</u>**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძ. N44/ს; 14.06.2024წ.), სადაც გაწერილია სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესი, სკოლის სამედიცინო პერსონალის კომპეტენციები, პაციენტის უფლებები და აღჭურვილობის უსაფრთხოება და სხვ.

სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. როგორც ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დადგინდა, ექიმი აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმით, ასევე აღრიცხავს დახარჯულ მედიკამენტებსა და სამედიცინო მასალებს. მოქმედებს სასწავლო წლის დასაყისში გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით. რაც შეეხება ექიმის კვალიფიკაციას, იგი ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს საოჯახო მედიცინის სპეციალობაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროცესი რეგულირდება ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. **აღნიშნული წესი შეთანახმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტროსთან (06.02.2020წ. MES 5 20 00139993).**

შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ,,ინფორმირებულობის უზრუნველყოფის“ მონაცემები. სკოლის ტერიტორია აღჭურვილია ვიდეოსათვალთალო კამერებით. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს პირთა გადაადგილების კონტროლს სკოლის მთელს ტერიტორიაზე. ამასთანავე, სკოლას ჰყავს წესრიგის მენეჯერი.

სკოლაში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემოწმების მიზნით შექმნილი კომისია (ბრძ. 89/ს; 20.12.2024წ.). ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ამ კომისიის სხდომის ოქმი (16.07.2025წ.). ოქმის თანახმად, სხდომაზე შეფასდა სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი და პრევენციის მიზნით გაცემულ იქნა რეკომენდაციები, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების განხორციელების შესახებ, მაგ: ძალადობის, კიბერბულინგის და სხვ. შესახებ. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი. როგორც სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, ბავშვის სახლში გაშვება შენობიდან ხდება დამრიგებლის ჩართულობით.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვა/შეზღუდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებები (ბრძ. N213/ს; 30.04.2018წ.). ამასთანავე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ასევე - უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ინდიკატორი 3.4.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი (სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.), მოსწავლის ადაპტაციის წესი; ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N44/ს; 15.09.2023წ. და სხვ.) უზრუნველყოფს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან. მის მიერ შემუშავებულია

სამოქმედო გეგმა, რაც ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებში გაწერილია შეხვედრები სხვადასხვა კლასის მასწავლებლებთან, მოსწავლეთა ქცევით და ემოციურ სირთულეებთან დაკავშირებით და მათი დაძლევის გზების განსაზღვრის მიზნით. ვიზიტის პერიოდში მშობლებთან გასაუბრებისას ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ სწორედ სკოლის დახმარებით აღმოაჩინა მის შვილთან არსებული გარკვეული გამოწვევები, რაც ერთობლივი ძალისხმევით წარმატებით იქნა დაძლეული. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხდება მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით. კლასის დამრიგებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარების მხარდაჭერაში. არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული პროექტები/ექსკურსიები და სხვ. ხელს უწყობს სკოლაში ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები (ბრძ. N29/ს; 21.04.2026წ.), რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს.

ვიზიტის პერიოდში მშობლებთან და საბაზო/საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრების დროს გამოხატული იყო კმაყოფილება სკოლაში შექმნილი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შესახებ. გარდა ამისა, სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის პროცესი და მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების პროცესი სკოლის მიერ კონტროლდება. ამასთანავე, მოსწავლეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის, შემუშავებულია სათანადო მექანიზმები. **ინდიკატორი 3.4.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N37/ს; 14.06.2024წ.), რომლითაც უზრუნველყოფილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. ვიზიტის დროისათვის სკოლის ტერიტორია იყო დასუფთავებული. ყოველი შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით. ვიზიტის პერიოდში სკოლას ემსახურებოდა 3 დამლაგებელი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული (მხოლოდ პირველ სართულზე), განთავსებულია ორივე სართულზე. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სივრცეში. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ზედამხედველობას უწევს

სკოლის ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია და მონიტორინგი გაუწიოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებულ რეგულაციებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიასთან გაფორმებული ხელშეკრულება (ხელშეკრულება N117; 30.01.2026წ.) სკოლაში გამოყენებული წყლის ვარგისიანობის შემოწმების მიზნით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას სკოლაში.**ინდიკატორი 3.4.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესები რეგულირდება ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N20/ს; 31.05.2024წ.). პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს სკოლაში ასრულებს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი (ბრძ. N23/ს; 31.05.2024წ.).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს რა ტიპის მონაცემები მუშავდება, რა სახით და რა მიზნით. ასევე დაზუსტებულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება (მუხლი 16). პერსონალური მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური, ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. სკოლას მიღებული აქვს მშობელთა და დასაქმებულ პირთა წერილობითი თანხმობა/დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეების, მშობლების ინტერვიუთი და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მათთან გასაუბრებით. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.4.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იღებს შესაბამის ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ ინფორმაცია. ამისთვის შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" ინფორმაციის დაცვის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიზანია მიზანია მოსწავლეთა, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირების პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დოკუმენტით განსაზღვრულია ინფორმაციის ორგანიზაციული, ტექნიკური და ფიზიკური დაცვის მექანიზმები. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების,

მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (school.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ასევე ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" ელექტორნული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირი (ბრძ. N73/ს; 16.09.2024წ.). კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია მიუწვდომელია გარეშე პირთათვის, დაცულია შესაბამისი პროგრამული პაროლებით და კოდებით. საქმეთა მმართველთან ინახება პირადი საქმეები. კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაზე პასუხისმგებელია ისტ-ის მასწავლებელი, ხოლო პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი აკონტროლებს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. **ინდიკატორი 3.4.1.7. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ზოგადად თავის საქმიანობას ახორციელებს მუდმივი მონიტორინგის განხორციელებით, რათა მიმდინარე პროცესები წარიმართოს შეუფერხებლად. სკოლაში დირექტორის მიერ დელეგირებულია უფლებამოსილებები დირექტორის მოადგილეებზე, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში, თავისი კვალიფიკაციის, უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში მონიტორინგს უწევენ სასწავლო სააღმზრდელო პროცესს. სკოლა ყოველწლიურად ატარებს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების კვლევას. აღნიშნული კვლევა ბევრ ინფორმაციას აძლევს სკოლის დირექციას, რამდენად კმაყოფილია სასკოლო საზოგადოება მიმდინარე პროცესებით, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ სკოლაში თავს, რამდენად მისაღებია მათთვის სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები (ბრძ. N55/ს; 15.09.2025წ.), რომლის უმთავრესი მიზანია სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. გეგმა მოიცავს: მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობებს შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; რისკების შეფასებას და მართვას; თანამშრომელთა სწავლებას; უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების აღრიცხვას, მოკლევას და ანგარიშგებას და სხვ. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემოწმების მიზნით შექმნილი კომისია (ბრძ. 89/ს; 20.12.2024წ.). ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ამ კომისიის

სხდომის ოქმი (16.07.2025წ.). ოქმის თანახმად, სხდომაზე შეფასდა სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი და გაცემულ იქნა საგანამანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების რეკომენდაცია მაგ: ძალადობის, კიბერბულინგის შესახებ (პრევენციის მიზნით). **ინდიკატორი 3.4.1.8. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა (ბრძ. N33/ს; 01.09.2025წ.);
- სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ბრძ. N7; 07.02.2024);
- შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაზე შეთანხმების მიზნით (21.08.2024. N49);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი (23.08.2024. MIA 2 24 02588567);
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე (განცხადება N21; 20.04.2026წ.);
- ა(ა)იპ „ჩვენს სკოლის" დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ „ჩვენს სკოლაში" საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" (ბრძ. N51/ს; 07.08.2024წ.);
- სახანძრო სიმულაციური განგაშის აქტი 10.11.2025წ. "ჩვენი სკოლისა"და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიის მიერ ერთობლივი სასწავლო სახანძრო სასწავლო სიმულაციური განგაშის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ N111/11 სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (22.11.2024წ. MIA 0 24 03567440);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემოწმების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი (16.07.2025წ.);
- სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართვა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში (17.03.2026წ. KA000066976280626);

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება (17.03.2026წ. 2000412126);
- ა(ა)იპ „ჩვენს სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ „ჩვენს სკოლაში“ დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის წვდომაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ (ბრძ. N24/ს; 31.05.2024წ.);
- ა(ა)იპ „ჩვენს სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის წვდომაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ (ბრძ. N43/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ „ჩვენს სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ ვიდეომონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N84/ს; 11.11.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემოწმების მიზნით შექმნილი კომისიის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N89/ს; 20.12.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემოწმების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი 16.07.2025წ.;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს წერილი (06.02.2020 წ. MES 5 20 00139993) ა(ა)იპ - ,,ჩვენი სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმების თაობაზე;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვა/შეზღუდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ (ბრძ. N213/ს; 30.04.2018წ.);
- ა(ა)იპ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძ. N37/ს; 14.06.2024წ.);
- სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიასთან გაფორმებული ხელშეკრულება (ხელშეკრულება N117; 30.01.2026წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (ბრძ. N20/ს; 31.05.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ“ (ბრძ. N23/ს; 31.05.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ ვიდეომონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. N84/ს; 11.11.2024წ.);
- ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ ვიდეომონიტორინგის წესი (ბრძ. N84/ს; 11.11.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ ელექტორნული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ (ბრძ. N73/ს; 16.09.2024წ.);

- ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები (ბრძ. N55/ს; 15.09.2025წ.);
- შრომის უსაფრთხოების გეგმა;
- რისკების შეფასება;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის აღიცხვის ჟურნალი;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემოწმების მიზნით შექმნილი კომისია (ბრძ. 89/ს; 20.12.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძ. N44/ს; 14.06.2024წ.);
- შპს ,,ნეტისთან“ გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- შესაბამისობის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერით, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა“ მდებარეობს ქალაქ თბილისში ჩუბინაშვილის ქ N42. (ს/კ.ს/კ 01.16.01.014.015) განთავსებულ ორსართულიან შენობაში. შენობის დაზუსტებული ფართობია 2617.00.კვ.მ. სკოლის შენობა საერთო ფართით 2543.7კვ.მ, აქედან სარდაფი-639,8კვ.მ. I სართული-623,8კვ.მ, II სართული-629კვ.მ, III სართული-651,1 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრებაა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 ივნისის N1183 განკარგულების საფუძველზე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცა თანხმობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას, რომ მის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში ჩუბინაშვილის ქ. №42-ში მდებარე **შენობა-ნაგებობიდან 400 კვ. მ ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.16.01.014.015), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის ვადით, აუქციონის გარეშე, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ – ჩვენს სკოლას (ს/კ 404856544).** ზემოაღნიშნული ქონების (მერხების, ტექნიკის და სხვა ინვენტარის) უსასყიდლოდ სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2027 წლის 30 აგვისტო. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდა, რომ დაწყებულია მომდევნო 10 წლის ვადით ქონების სკოლისათვის გადაცემის პროცედურები. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი (N6; 09.02.2025წ.) სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 400 კვ.მ ფართის და მოძრავი ქონების შემდგომი 10 წლით უსასყიდლოდ გადმოცემასთან დაკავშირებით. ამის საფუძველზე, სკოლამ ასევე წარმოადგინა განახლებული დადგენილება № 2/2026 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს მიერ ა(ა)იპ - ,,ჩვენი სკოლისათვის“ უძრავი ქონების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ (24.03.2026წ.), რაც უზრუნველყოფს სკოლის მიერ უძრავი ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებას მომდევნო 10 წლის განმავლობაში. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განსაზღვრული იყო ა(ა)იპ ჩვენი სკოლის მხრიდან პროფილის შენარჩუნება (განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით გამორჩეული მოსწავლეების აღზრდა და სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩასარიცხად მომზადება) და ფუნქციონირება.

სკოლა განთავსებულია შენობის მარცხენა ფლიგელში, ორ სართულზე. სკოლის სარგებლობაშია ჯამში 12 საკლასო ოთახი, რომელიც სრულად აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით: მერხით (ასაკობრივი დონეების შესაბამისად), სკამით, დაფითა და სხვა სასკოლო ავეჯით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 14 კომპიუტერი, 2 პრინტერი და მოძრავი პროექტორი. შესაბამისი ინვენტარით, სასწავლო რესურსით არის აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. სკოლასა და სახელმწიფო კონსერვატორიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სკოლა სარგებლობს შენობის პირველ სართულზე არსებული სპორტული დარბაზით (80.22 კვ.მ.), შენობის მეორე სართულზე არსებული ბიბლიოთეკით, ფონოტეკისა და ვიდეოთეკის ოთახებით, პირველ სართულზე არსებული სააქტო დარბაზითა და

სასადილოთი. ბიბლიოთეკა მოიცავს სასწავლო და მხატვრულ ლიტერატურას, ასევე სახელმძღვანელოებს. სკოლის ეზო კეთილმოწყობილია, სადაც იმართება სხვადასხვა ღონისძიებები. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში გამოყოფილია სივრცე ადმინისტრაციისთვის, ასევე სამასწავლებლო, სადაც შექმნილია სამუშაო გარემო: მასწავლებლებს აქვთ ინდივიდულაური კარადები, რამდენიმე ლეპტოპი. ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ბიჭებისთვის, გოგონებისთვის. პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 121 მოსწავლე, სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სკოლაში სწავლა ხორციელდება 1 ცვლაში.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **<u>რჩევა: სასურველია, სკოლის იდენტიფიცირების მიზნით შენობას გარე ფასადზე ჰქონდეს სკოლის აღმნიშვნელი შესაბამისი აბრა, რადგანაც სკოლას აქვს მხოლოდ სამუსიკო სემინარიის აღმნიშვნელი აბრა.</u>**

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ დაწყებულია მომდევნო 10 წლის ვადით ქონების სკოლისათვის გადაცემის პროცედურები და არ არის საბოლოოდ დასრულებული, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული უფლების მოპოვებას უზრუნველყოფს 22.04.2026-21.04.2027 წლის განმავლობაში. ამიტომ ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა **<u>რეკომენდაცია: უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (22.04.2026-21.04.2027) სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ 400 კვ.მ ფართის და მოძრავი ქონების შემდგომი 10 წლით უსასყიდლოდ გადმოცემის თანხმობის მოპოვება.</u>**

სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში საშუალო საფეხურზე, რადგან ზოგიერთი ცდის ჩატარებისას საქმე გვაქვს ისეთ ნივთიერებებთან, რომელთა ჩასუნთქვაც საზიანო იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებლისათვის. უსაფრთხოების წესები მოითხოვს გამწოვი კარადის არსებობას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს 22.04.2026-22.04.2027 წლის განმავლობაში. ამიტომ ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა **<u>რეკომენდაცია: უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (22.04.2026-22.04.2027) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟება.</u>** სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.5.1.1. შეფასდა როგორც <u>„მეტწილი“</u>.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლას აქვს საერთო სარგებლობის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 14 კომპიუტერი, 2 პრინტერი და მოძრავი პროექტორი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სკოლის ეზო ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლის სოციალური გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლაში შესაძლებელია სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების გამართვა; ყველასთვის ხელმისაწვდომია სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, რომელშიც ყველა პედაგოგისთვის განთავსებულია კარადა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი. სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ ლაბორატორიით სარგებლობის დებულება, რომლითაც განსაზღვრული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლაში არსებული საზიარო სივრცეების შესაბამისი მატერიალური რესურსით შეუფერხებლად გამოყენებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 3.5.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლასა და სახელმწიფო კონსერვატორიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სკოლა სარგებლობს შენობის მეორე სართულზე არსებული ბიბლიოთეკით, ფონოტეკისა და ვიდეოთეკის ოთახებით. სკოლაში ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ბიბლიოთეკის დებულებით. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, ბიბლიოთეკა შედგება 922 ცალი წიგნადი ფონდისგან (ასევე ა(ა)იპ „ჩვენი სკოლასა“ და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე სემინარიის სანოტო და წიგნადი ფონდით-დაახლოებით 14 495 ერთეული). 26.03.2026 წელს განახლებული მემორანდუმის (სკოლასა და კონსერვატორიას შორის) საფუძველზე, ზემოაღნიშნული რესურსებით სარგებლობა შეუძლიათ ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის” ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს. ბიბლიოთეკაში მუსიკალურ ლიტერატურასთან ერთად განთავსებულია: საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები და მემუარები, მხატვრული, საინფორმაციო და სხვადასხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა, აგრეთვე, აუდიო და ვიდეო რესურსები. ბიბლიოთეკებში ასევე დაცულია პერიოდული გამოცემები (ჟურნალ-გაზეთები და აუდიო-ვიზუალური საშუალებები). სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „ახალ განათლებასთან“ და ჟურნალ „ისტორიანთან“, რომლებიც პერიოდულად

მიეწოდება სკოლას და ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემოწმდა გრიფირებული სახელმძღვანელოების არსებობა სკოლაში, თუმცა რამდენიმე საგნის გრიფირირებული სახელმძღვანელო არ იყო სკოლაში, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე უზრუნველყო მათი შეძენა და წარმოადგინა შეძენის დოკუმენტაციაც.

ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე სართულზე. ერთ დიდ სივრცეშია წიგნსაცავი და სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში ყველას აქვს შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარის დახმარებით, გამოიყენოს ბიბლიოთეკაში განთავსებული პრინტერის/ქსეროქსის აპარატი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკაში თაროებზე წიგნები განთავსებულია კატალოგის მიხედვით. სკოლას აქვს ფორმულარები, რომლითაც ხდება ძირითადად მხატვრული ლიტერატურის გაცემა მოსწავლეებზე. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც აღინიშნება: ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი და შენიშვნა. თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული საინვენტარო წიგნი არ იყო სათანადოდ ნაწარმოები, რის გამოც, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზეც სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას. ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო <u>**რეკომენდაცია**</u> შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში **(22.04.2026-21.04.2027)** ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციის შესახებ.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო ელექტრონული სარეგისტრაციო ჟურნალის გატარების დამადასტურებელი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და <u>**ინდიკატორი 3.5.1.3.**</u> **რომელიც დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ „მეტწილად“ იყო შეფასებული, <u>საბოლოო დასკვნაში შეფასდა „სრული“ შესაბამისობით.</u>**

ბიბლიოთეკაში დასაქმებულია ამავე სკოლის მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად არის კათედრის ხელმძღვანელი. როგორც ექსპერტთა მიერ დაზუსტდა, ბიბლიოთეკაში მისი არყოფნის დროს (ასეთის არასებობის შემთხვევაში), სამუსიკო სემინარიასთან არსებული მემორანდუმის ფარგლებში, სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს თუ თანამშრომელს დახმარებას უწევს სამუსიკო სემინარიის ბიბლიოთეკარიც. აქედან გამომდინარე, სკოლაში უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს. ბიბლიოთეკარის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკაში განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა კულტურულ და სოციალურ თვითშეგნების ამაღლებას. მაგ: შეხვედრა საბავშვო მწერალათან, სპექტაკლის შესახებ დისკუსიები, ინგლისურის პედაგოგების მიერ დაანონსებული ფილმების ჩვენება (ინგლისურ ენაზე) და შემდგომი განხილვა და სხვ. **ინდიკატორი 3.5.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობას მეორე სართულზე გადაადგილებისთვის აქვს ასაკეცი პანდუსი და პირველ სართულზე სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის. სკოლის გარემო ადაპტირებულია და მორგებულია შშმ პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. შესაბამისად, სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, ლაბორატორიები, სააქტო დარბაზები) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი 3.5.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო სკამებით, ეზო მოპირკეთებულია და შესაძლებლობას ქმნის იყოს სოციო-კულტურული სივრცე. სკოლასა და სახელმწიფო კონსერვატორიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სკოლა სარგებლობს შენობის პირველ სართულზე არსებული სპორტული დარბაზით (80.22 კვ.მ.), ამავე სართულზე არსებული სააქტო დარბაზითა და სასადილოთი. ასევე შენობის მეორე სართულზე არსებული ბიბლიოთეკით, ფონოტეკისა და ვიდეოთეკის ოთახებით. სააქტო დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია გამოიყენება საინტერესო ღონისძიებებისა და პროექტების პრეზენტაციისთვის. სამასწავლებლოში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს გუნდური საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. ყველა პედაგოგისთვის განკუთვნილია კარადა პირადი ნივთების შესანახად. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა დაკომპლექტებულია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებით, ხშირად ტარდება სხვადასხვა აქტივობები, კონცერტები, რისთვისაც სკოლა აქტიურად იყენებს სამუსიკო სემინარიის საკონცერტო დარბაზებს. სკოლის ეზოში ტრადიციულად ეწყობა წინასააღდგომო საქველმოქმედო ბაზრობა, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ყველა ერთად იღებს მონაწილეობას გამოფენა-გაყიდვის სამზადისში. თითოეული ნივთი ხელნაკეთია და დამზადებულია მათ მიერ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. შესაბამისად **ინდიკატორი 3.5.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- აზომვითი ნახაზები;

- საქართველოს მთავრობის განკარგულება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ ა(ა)იპ – ჩვენი სკოლისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ (2017 წლის 9 ივნისის N1183);
- წერილი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ ა(ა)იპ - ჩვენი სკოლისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიღების შესახებ (09.02.2025წ.);
- კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №2/2026 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ ა(ა)იპ - ჩვენი სკოლისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ (24.03.2026წ.);
- ლაბორატორიით სარგებლობის დებულება;
- IT მომსახურების შესახებ ხელშეკრულება N17 (26.12.2025წ.);
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ბიბლითეკარის სამოქმედო გეგმა და წლიური ანგარიში;
- პერიოდულ გამოცემათა მიწოდების შესახებ შპს ელვა.ჯი-თან გაფორმებული ხელშეკრულება N27422/26;
- შპს ,,ახალი განათლებას“-თან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის მიერ შემუშავებული ლაბორატორიით სარგებლობის დებულების მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ასეევე ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. IT ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, კერძოდ ლაბორატორიაში განთავსებულია 14 კომპიუტერი, ორი პრინტერი და 1 პროექტორი. ის გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო მიზნებისთვის.

კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია სკოლის ადმინისტრაციაც და მასწავლებლებიც. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს ,,ბლუნეტ"-თან შპს ,,ბლუნეტ"-თან ინტერნეტ სერვისის მომსახურების მიზნით (ხელშეკრულება N00204). შესაბამისად, ინტერნეტი ხელმისაწვდომია სკოლის მთელ სივრცეში. მშობელთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეები დაცულნი არიან არასანდო პლატფორმებით სარგებლობისგან, აღნიშნული საკითხები გაწერილია ლაბორატორიით სარგებლობის დებულებაში. სკოლას აქვს პერსონალური კომპიუტერი-18, პორტატული კომპიუტერი-3, პრინტერი-4, პროექტორი-2. კომპიუტერულ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ისტ-ის მასწავლებელი, რომელიც ვალდებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი გააცნოს ლაბორატორიის თითოეულ მომხმარებელს. **ინდიკატორი 3.6.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია და გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის ხელშეწყობისათვის. სკოლაში გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, მართვის საინფორმაციო სისტემები, ელექტრონული ჟურნალი, სკოლას აქვს შექმნილი სოციალური გვერდი კომუნიკაციისთვის და სიახლეების გაზიარებისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის მიერ შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის დებულება, რომელშიც ტექნიკური უზუსტობის აღმოსაფხვრელად ვიზიტის დროს დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება, (ბრძ. N26/ს; 21.04.2026წ.), რომლის თანახმად კომპიუტერულ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ისტ-ის მასწავლებელი და სოციალური მედიის მენეჯერი ნაცვლად ინფორმაციული მენეჯერისა, როგორც ეს სკოლის დებულებით და სტრუქტურით არის განსაზღვრული. **ინდიკატორი 3.6.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ლაბორატორიით სარგებლობის დებულება;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ ლაბორატორიით სარგებლობის დებულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ“ (ბრძ. 26/ს; 21.04.2026წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დებულება (ბრძ.N28/ს; 01.09.2025წ.);
- საშტატო განრიგი (ბრძ.N27/ს; 01.09.2025წ.);
- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)(ბრძ.N26/ს; 01.09.2025წ.);
- IT მომსახურების შესახებ ხელშეკრულება N17 (26.12.2025წ.);
- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სქულბუქთან გაფორმებული ხელშეკრულება N8;
- შპს ,,ბლუნეტ“-თან გაფორმებული ხელშეკრულება ინტერნეტ სერვისის მომსახურების შესახებ N00204;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი (ბრძ. N30/ს; 01.09.2025წ.), რომელიც ადგენს მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს და სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის, ამ დოკუმენტში დარეგულირებულია დოკუმენტების მომზადების, მიღების, გაგზავნის, შენახვის წესები. სკოლას შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმეთა მმართველი, რომელთანაც ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებიც განთავსებულია თაროებზე და დაცულია უცხო პირისგან. **ინდიკატორი 3.6.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

საქმისწარმოებისას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვის მიზნით, სკოლას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება შპს ,,უნივერს"-თან შიდა სასკოლო დოკუმენტების ელექტრონულად საწარმოებლად სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებთ. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - https://edudocs.ge. სკოლის მიერ დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით აღირიცხება: საერთო ბრძანებები; მოსწავლეთა ბრძანებები; შემოსული კორესპონდენცია; გასული კორესპონდენცია. აღნიშნული დოკუმენტები აღირიცხება ელექტრონულად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით. მათ შორის ამავე პროგრამის მეშვეობით ხდება სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება. აღნიშნული პროგრამიდან შესაძლებელია დარეგისტრირებული მონაცემების - სარეგისტრაციო ჟურნალის ჩამოტვირთვა excel-ის ფორმატში, რომელიც ყოველი წლის ბოლოს იბეჭდება და იკინძება, მოწმდება დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული სარეგისტრაციო ჟურნალები.

სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, ექსპერტთა მიერ ვიზიტის პერიოდში შემთხვევითობის პრინციით გადამოწმდა eSchool-ის ერთიანი ბაზა, რომელშიც სრულყოფილად იყო შეტანილი სკოლის პერსონალის

მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთა მმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპონდენციის მისაღებად სკოლაში ასევე, გამოიყენება ელექტრონული ფოსტა chveniskola2010@gmail.com სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ელექტრონული ფოსტა. **ინდიკატორი 3.6.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია, შევსებულია ყველა სავალდებულო ველი. ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი 3.6.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საქმისწარმოების პროცესის შესწავლით დგინდება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, რესურსცენტრს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი 3.6.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (ბრძ. N30/ს; 01.09.2025წ.);
- საქმეთა მმართველთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შპს ,,უნივერს“-თან გაფორმებული ხელშეკრულება (01.09.2025წ.);

- სარეგისტრაციო ჟურნალი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა EduDocs.
- მარეგულირებელ უწყებებთან უკუკავშირის მასალები;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (ბრძ. N45/ს; 14.06.2024წ.), რომლითაც განისაზღვრება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი და ა.შ. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

სკოლას აქვს ვებგვერდი. https://www.chveniskola.edu.ge/ რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის სოციალურ ქსელშიც https://www.facebook.com/share/1BXfVmmDk5/?mibextid=wwXIfr განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას საქმის მმართველი სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს. სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციისას ასევე ხელმძღვანელობს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მშობელთან ურთიერთობის წესის დოკუმენტის შესაბამისად (ბრძ. N40/ს; 01.09.2025წ.). მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებთან გასაუბრებისას მშობლებმაც და ადმინისტრაციამაც აღნიშნეს, რომ მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი და სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფები. შესაბამისად,

საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. **ინდიკატორი 3.6.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლაში რეალურად განხორციელებული პროცესებით. სკოლის დირექციამ ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობას იღებს განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე. ამასთანავე ვიზიტის პერიოდში მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებითაც დასტურდება საკომუნიკაციო არხებით სკოლიდან მიღებული ინფორმაციის სანდოობა. გასაუბრების დროს სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან აღნიშნეს, რომ ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავს სოციალური მედიის მენეჯერი, რომელიც სკოლის დირექციასთან შეთანხმებული ფორმის შესაბამისად, ახორციელებს სკოლის თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას სკოლის მიერ განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი სიახლეების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ. იგი სკოლის დირექციასთან შეთანხმებით ამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებ-გვერდზე განსათავსებლად. იგი თავადვე ტვირთავს აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის საკომუნიკაციო პლატფორმებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.6.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ შემუშავებული ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით (ბრძ. N45/ს; 14.06.2024წ.) რეგულირდება საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მეთოდები (მუხლი 4); სკოლა სხვადასხვა არხით იღებს უკუკავშირს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრებისა და მშობელთა კრებების დროს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციითა და სოციალური ქსელების საშუალებით. როგორც მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა და ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც, სკოლა სასწავლო წლის განამვლობაში მშობლებს ავსებინებს კითხვარს, რომლებიც მოიცავს შეკითხვებს სხვადასხვა მიმართულებით. მიღებული მოსაზრებები და შენიშვნები სკოლას ეხმარება საჭიროებების იდენტიფიცირებაში და შემდგომ შესაბამის რეაგირებაში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებასა და სკოლაში საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებას. როგორც ექსპერტებთან სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღნიშნეს, მაგ: სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა და მათი შეხედულებებისა და პრიორიტეტების მიხედვით

მოხდა სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, სწორედ მოსწავლეთა და მშობელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე ცვლილება განიცადა სკოლის ხედვისა და ღირებულებების ადრინდელმა ვერსიამ. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შევსებული კითხვარების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორი 3.6.3.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე, აქვს ვებგვერდი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში www.skolebi.emis.ge სადაც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებგვერდი https://www.chveniskola.edu.ge/ სადაც განთავსებულია ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები; კერძოდ, გასაჩივრების მექანიზმები; შინაგანაწესი; მიღების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია; ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა; საკონტაქტო ინფორმაცია. ამის გარდა, ვებგვერდი იძლევა ინფორმაციას პერსონალის შესახებ. ნებისმიერი დაინტერესებული წევრისთვის ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების სიახლეები. ვებგვერდზე საჯაროდ არის გაზიარებული სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, ასევე ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია, რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგებს, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული პერიოდი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით არ გასულა, ამიტომ ჯერ საიტზე არ არის აღნიშნული ინფორმაცია. ხელმისაწვდომია სასკოლო სასწავლო გეგმები საფეხურების მიხედვით და ა.შ. **ინდიკატორი 3.6.3.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (ბრძ. N45/ს; 14.06.2024წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" მშობელთან ურთიერთობის წესი (ბრძ. N40/ს; 01.09.2025წ.);
- კითხვარები;
- გამოკითხვის ანალიზი და რეკომენდაციები;
- ვებ გვერდი: https://www.chveniskola.edu.ge/
- Facebook გვერდი: https://www.facebook.com/share/1BXfVmmDk5/?mibextid=wwXIfr
- Instagram გვერდი: https://www.instagram.com/chveniskola_?igsh=N29teDJmYm0yY2l6

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და

მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის საფუძველზე მიღებული შემოსავლები (მოსწავლეთა სწავლის საფასური). დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტი (ბრძ. N74/ს; 30.12.2025წ.), რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულ პირთა ხელფასს, კომუნალურ ხარჯებს და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვას და სხვ. სკოლას ასევე აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლები, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული სწავლების წრის, ასევე ჭადრაკის წრის სახით. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრულია საგანმანათლებლო თუ მატერიალური რესურსებისათვის აუცილებელ თანხები, მათ შორის ფინანსები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, წახალისებისათვის. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა მაგ: ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ“ (ბრძ. N03/ს; 10.02.2025წ.); ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის“ დირექტორის ბრძანება,, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ“ (ბრძ. N02/ს; 20.01.2025წ.). სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ფინანსურად მდგრადია და უზრუნველყოფს ფინანსური რესურსით განახორციელოს სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი 3.7.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. როგორც ექსპერტებთან გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, საბიუჯეტო გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. სკოლის წესდების თანახმად, გამგეობა შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და მის შესრულებაზე ახორციელებს კონტორლს. ხოლო (ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დებულების (ბრძ.N28/ს; 01.09.2025წ.) მე-7 პუნქტის თანახმად, ბიუჯეტს ამტკიცებს და ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის დირექტორი. ის მონიტორინგს უწევს სკოლის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ორგანიზაციის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ვიზიტის პერიოდში

სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია და დასტურდება სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით. **ინდიკატორი 3.7.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" (ბრძ. N74/ს; 30.12.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" დირექტორის ბრძანება ,,2025-2026 სასწავლო წელს ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლის" მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული სწავლების წრის შექმნის შესახებ" (ბრძ. N47/ს; 12.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლის" მოსწავლეებისთვის დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით ჭადრაკის წრის შექმნის შესახებ" (ბრძ. N09/ს; 01.02.2026წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ (ბრძ. N03/ს; 10.02.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის" დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" თანამშრომლისთვის პრემიის სახით თანხის გაცემის შესახებ" (ბრძ. N02/ს; 20.01.2025წ.);
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის დებულება (ბრძ. N28/ს; 01.09.2025წ.);
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2026 წლის ბიუჯეტი;
- 2025 წლის ფიფნასური ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს შიდა რეგულაციები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები მოიცავს დისციპლინურ წესებს, უსაფრთხო სასკოლო გარემოს, თანასწორ მოპყრობას, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მოსწავლის აზრის გამოხატვის უფლებასა და მის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპს. რეგულაციები პრაქტიკაში გამოიყენება და წარმოადგენს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

- ☑ **სკოლის შინაგანაწესი** (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.), რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;
- ☑ **პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა** (ბრძ. N20/ს; 31.05.2024წ.), რომლითაც ხდება მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების პროცესის რეგულირება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად;
- ☑ **განცხადება/საჩივრის განხილვის წესი** (ბრძ. N33/ს; 14.06.2024წ.), რომელიც არეგულირებს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს;
- ☑ **მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და შეწყვეტის წესი** (ბრძ.N75/ს; 30.12.2025წ.);

- ☑ **სასკოლო სასწავლო გეგმა,** რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, სადაც მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეთა უფლებების შესახებ.
- ☑ **უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა** (ბრძ. N33/ს; 01.09.2025წ.), რომელიც შემუშავებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად და მოიცავს სასკოლო პერიოდში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
- ☑ **მოსწავლეთა ადაპტაციის წესი**, რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები;
- ☑ **მედიაციის წესი** (ბრძ. N25/ს; 31.05.2024წ.), რომლის მიზანია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია მათი კანონიერი წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით;
- ☑ **მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი** (ბრძ. N18/ს; 31.05.2024წ.), რომლის მიზანია განისაზღვროს სკოლის მხრიდან მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობის პროცესი;
- ☑ **ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები** (ბრძ. N29/ს; 21.04.2026წ.), რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტისა და რეგულაციის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ისინი გაზიარებულია სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. ასევე განიხილება მშობლებთან (მშობელთა კრება), მოსწავლეებთან (დამრიგებლის საათი) და პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრებისა და საკლასო საათების ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს რეგულაციების გამჭვირვალობას, მათი შინაარსის გააზრებას და პრაქტიკაში სწორად

გამოყენებას. შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები, მშობლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. **ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. სკოლასა და მოსწავლეს/მის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერს და თარიღს; ინფორმაცია სწავლის ღირებულების და ანაზღაურების პირობებს; მხარეთა უფლება-მოვალეობებს; დავების განხილვას; ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს; ასევე ფორს-მაჟორულ გარემოებებს; ხელშეკრულების მოქმედების ვადას; შინაგანაწესის გაცნობას და გასვლით ღონისძიებების შესახებ ინფორმირებას; მხარეთა რეკვიზიტებს.

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მშობელთა კრებაზე დეტალურად ეცნობა ხელშეკრულების პირობებს მოსწავლეებისა და სკოლის კანონიერ უფლება მოვალეობებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. მათ შორის მე-6 მუხლით განსაზღვრულია მოსწავლეთა სტატუსის საკითხი ფინანსური დავალიანების შემთხვევაში, რაც კანონმდებლობის შესაბამისად არის გათვალისწინებული (საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 33[2]). ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია, რომ თუ მოსწავლე ვერ გადალახავს **სამუსიკო საგნებში დაწესებულ მინიმალურ ზღვარს** (სკოლის და სემინარიის თანაარსებობის სპეციფიკიდან გამომდინარე), ამ შემთხვევაში მშობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის გადაყვანა; სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობლის თანხმობა მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა მშობელთა ხელშეკრულებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორის და მშობლის მიერ. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება, როგორც წესი, სკოლაში - მეორე ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. **ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი (ბრძ. N34/ს; 01.09.2025წ.);
- მედიაციის მარეგულირებელი წესი (ბრძ. N25/ს; 31.05.2024წ.);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (ბრძ. N20/ს; 31.05..2024წ.);
- განცხადება/საჩივრის განხილვის წესი (ბრძ. N33/ს; 14.06.2024წ.);
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და შეწყვეტის წესი (ბრძ. N75/ს; 30.12.2025წ.);
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა (ბრძ. N33/ს; 01.09.2025წ.);
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მედიაციის წესი (ბრძ. N25/ს; 31.05.2024წ.);
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძ. N18/ს; 31.05.2024წ.);
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები (ბრძ. N29/ს; 21.04.2026წ.);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში“ განცხადება/საჩივრის განხილვის მიზნით კომისიის შექმნის დამტკიცების შესახებ“ (ბრძ. 34/ს; 14.06.2024წ.);
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლის ვებგვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესების და პროცედურების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და შეწყვეტის წესი (ბრძ. N75/ს; 30.12.2025წ.). აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურას. ვინაიდან ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის" დაარსების იდეაა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორის სამუსიკო სემინარიასთან თანაარსებობის პირობებში აღზარდოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები, სკოლაში, მათ შორის პირველ კლასში, მიიღებიან მხოლოდ სემინარიის საგამოცდო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატები.

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით ასევე დადგენილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურები. იგივე დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის და აღდგენის პროცესი; საფეხურის დაძლევა. დეტალურად არის აღწერილი მობილობის პროცედურა. მოსწავლეების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. ამასთანავე, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით მოსწავლის მიღება ხდება მხოლოდ სემინარიის საგამოცდო კომისიის მიერ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სკოლის შინაგანაწესით დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა (მუხლი 1, პუნქტი 3), რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიიღებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც მუსიკალური ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი და წარმატებით გაივლიან მუსიკალურ კონკურსს. შესაბამისად, სამუსიკო სასწავლებელში სწავლის შეწყვეტის/დასრულების ან/და სასწავლო საგნებში არადამაკმაყოფილებელი შეფასებისას, მოსწავლე უნდა გადავიდეს სხვა ზოგადსაგანმანმათლებლო სკოლაში სასწავლებლად. ექსპერტთა მიერ ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დაზუსტდა, რომ აღნიშნული პუნქტი არ იყო გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის წესში. ექსპერტთა რჩევის თანახმად, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და შეწყვეტის წესში (ბრძ. N28/ს; 21.04.2026წ.), კერძოდ დაკონკრეტდა რა პირობით მოუწევს მოსწავლეს სკოლიდან გადასვლა. სემინარიაში სწავლის შეწყვეტის/დასრულების ან/და სამუსიკო საგნებში არადამაკმაყოფილებელი შეფასებისას, მოსწავლე უნდა გადავიდეს სხვა ზოგადსაგანმანმათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. პირველ კლასში მოსწავლის

რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება, რაც სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების წესები. სკოლა იცავს შემუშავებულ წესებს, რაც დასტურდება სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით. **ინდიკატორი 4.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც დამრიგებელი მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, შეჯიბრების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. კლასის დამრიგებლების პორტფოლიო ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მისი გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისადმი. **ინდიკატორი 4.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ინდიკატორით გათვალისწინებული პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დოკუმენტით (ბრძ. N45/ს; 14.06.2024წ.), ასევე ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მშობელთან ურთიერთობის წესის დოკუმენტის შესაბამისად (ბრძ. N40/ს; 01.09.2025წ.). სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვაზე პასუხისმგებელია სოციალური მედიის მენეჯერი, რომელიც სკოლის დირექციასთან შეთანხმებულად ახორციელებს სკოლის

თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას სკოლის მიერ განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი სიახლეების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ. ასევე ამზადებს ინფორმაციას სოციალურ ქსელებში და ვებგვერდზე განსათავსებლად. იგი თავადვე ტვირთავს აღნიშნულ ინფორმაციას სკოლის საკომუნიკაციო პლატფორმებზე და პასუხობს საზოგადოების უკუკავშირს.

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, თავსდება სკოლის ვებგვერდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. აღნიშული ინფორმაცია ასახულია სასკოლო გეგმაშიც, რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აქტივობებისა და ღონისძიებების სოციალურ ქსელში განთავსებამდე სკოლის ადმინისტრაცია მშობლისგან იღებს თანხმობას. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული გადამოწმდა უშუალოდ ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით. **ინდიკატორი 4.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და შეწყვეტის წესი (ბრძ. N75/ს; 30.12.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და შეწყვეტის წესში ცვლილები შეტანის შესახებ (ბრძ.N28/ს; 21.04.2026წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მშობელთან ურთიერთობის წესის დოკუმენტის შესაბამისად (ბრძ. N40/ს; 01.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (ბრძ. N45/ს; 14.06.2024წ.);
- Eschool-ბაზა;
- მოსწავლის პირადი საქმეები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც რეკომენდაციის სახით გაწერილია ნაბიჯები მშობლების და მასწავლებლების მხრიდან, იმისათვის რომ ადვილად მოხდეს მოსწავლის შეგუება ახალ გარემოსთან. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს უმტკივნეულოდ შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; დეზადაპტაციის ნიშნების განსაზღვრას; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ ღონისძიებებს და მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პროცედურებს პირველ დღეებში. **ინდიკატორი 4.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას.დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამით გაწერილი აქვთ ადაპტაციის შესაბამისი აქტივობები. პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით.

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს სრული მზადყოფნა გაუწიოს შესაბამისი საგანამანათლებლო მომსახურება სსსმ მოსწავლეს. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში შეიქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ მოხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. **ინდიკატორი 4.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით პედაგოგები მიმართავენ რემედიაციულ პროცესებს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საკონსულტაციო შეხვედრებით ინდივიდუალური ან ჯგუფური დამატებითი გაკვეთილების სახით; შესაძლოა მოსწავლეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით შესასრულებელი ჰქონდეს დამოუკიდებელი სამუშაოები. მაგ: სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას (მოსწავლეები, მშობელები, ადმინისტრაცია) დადგინდა, რომ სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგანაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა მუსიკალურ ღონისძიებებში საერთაშორისო თუ ადგილობრივი მასშტაბით, ზოგჯერ მოსწავლეებს ესაჭიროებათ დამატებითი აკადემიური მხარდაჭერა არასამუსიკო საგნებში საკითხების დაუფლებისთვის, რისთვისაც გაკვეთილების შემდეგ მშობლის წინასწარი ინფორმირების საფუძველზე, მოსწავლეები დამატებით მეცადინეობებზე ხვდებიან სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს. გარდა ამისა, სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც მოსწავლის აკადემიური მიღწევების დიაგნოსტირებასა და გაუმჯობესებას ემსახურება. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ თუ დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, 1 თვის განმავლობაში ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობები, რის შემდეგაც მოსწავლემ განმეორებით უნდა წეროს განმეორებითი დიაგნოსტიკური წერა. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას. სკოლა უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დროულად ინფორმირებას მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება შინ სწავლების პროცესიც, რომელიც განკუთვნილია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვის ან მეტი ვადით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლისგან მოსწავლე იღებს სათანადო

მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 4.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი და პირობები და სხვა. გარდა ამისა, სკოლაში წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, ხორციელდება გაკრვეული შეღავათები სწავლის გადასახდის საფასურთან მიმართებაში.

2012 სასწავლო წლიდან, საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი პროფილური სამინისტროს ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით, ,,ჩვენს სკოლასა“ და სემინარიაში ამოქმედდა უნიკალური პროექტი "პანსიონი", რომლის ფარგლებში ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან საგანგებოდ ირჩევა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე 10 ბავშვი, რომელთაც ეძლევათ მუსიკალური და ზოგადი განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობა თბილისში. ბავშვები ცხოვრებენ საგანგებოდ შერჩეულ ოჯახებში. მათი მოვლისა და კვების ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ამ პროცესის თანამონაწილეა ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა“. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მოსწავლეთა სწავლის საფასურზე შეღავათის მინიჭების თაობაზე შექმნილი კომისიის ოქმი N1 (15.09.2025წ.). როგორც ოქმიდან და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის N35/ს ბრძანებით შექმნილია კომისია, რომელიც განიხილავს მოსწავლეთა სწავლის საფასურზე შეღავათების საკითხს. ვიზიტის პერიოდში შეღავათით სარგებლობდა 14 ბავშვი, უფასოდ სწავლობდა 9 ბავშვი (პანსიონის პროგრამით). სკოლის მიზანია შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს ისწავლონ აღნიშნულ სკოლაში. **ინდიკატორი 4.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სასკოლო სასწავლო გეგმით 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანამანათლებლო მომსახურებას სხვადასხვა წრეების ფუნქციონირების გზით. კერძოდ 1. ჭადრაკის წრე I-VI კლასები 2. გახანგრძლივებული სწავლება I-VI კლასები მოსწავლისთვის. სასკოლო სასწავლო გემით ასევე გაწერილია 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში

სხვადასხვა სახის სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობები. ამასთანავე, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძ. N18/ს; 31.05.2024წ.), რომლის მიზანია განისაზღვროს სკოლის მხრიდან მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობის პროცესი. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ჩართულობთ განხორციელდა არაერთი პროექტი და ექსკურსია, მაგ: I და II კლასის მოსწავლეებმა მოინახულეს თბილისის მუზეუმი (ქარვასლა), გაეცნენ დედაქალაქის ისტორიას და დაათვალიერეს ექსპონატები, წარმოადგინეს საშაობაო ღონისძიება ,,შობა გათენებულაო“? მე-3/4 კლასის მოსწავლეებთან მოხდა მწერალთან შეხვედრა, რომლის წიგნის წინასწარ განხილვა მოხდა მოსწავლეებში. მოსწავლეთათვის საინტერესო იყო კერამიკის მასტერკლასი: მე-4 კლასის მოსწავლეებმა იმუშავეს თიხაზე, მე-6 კლასის მოსწავლეებმა მასწავლებლის ხელძღვანელობით დაამზადეს საახალწლო სათამაშოები დეკუპაჟის მეთოდით. ინგლისურის კათედრის მიერ ასევე მოეწყო ინგლისურენოვანი ღონისძიებები სხვადასხვა საფეხურისთვის. მაგ: „იყო და არა იყო რა“, „მადლიერების დღე, 10 სიტყვა“, „კალიგრაფიის კონკურსი“, „სირბილით კარნახი“. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ,,ქვიდიჩის“ ინტელექტუალურ თამაშში და გადავიდნენ ფინალურ ტურში. ქართული ენის მასწავლებლების თაოსნობით, შეიქმნა კლუბი „მკითხველის ლაბორატორია“, სადაც დაინტერესებული მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ აზრს წაკითხული წიგნების შესახებ. სკოლა საკანონმდებლო რეგულაციების დაცვით და მშობელთა ჩართულობით ახორციელებს სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებსა და აწყობს ექსკურსიებს. სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა წარმოდგენილია სკოლის ფეისბუქ გვერდზე და ასევე სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი 4.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ახორციელებს მოსწავლეების, მშობლების და დაინტერესებულ პირთა ჩართვას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებსა თუ გამოკითხვებში, შემდეგ აანალიზებს შედეგებს და ამ შედეგებს იყენებს მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად. მაგ: როგორც ადმინისტრაციამ განაცხადა, მშობელთა მხრიდან იყო თხოვნა გერმანული ენის შეთავაზებაც, შესაბამისად რამდენიმე წელია სკოლაში მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენის სტატუსით შეუძლია არჩევანი გააკეთონ გერმანულსა და რუსულ ენებს შორის, თუმცა სკოლაში ისწავლებოდა ფრანგული ენაც. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა კითხვარები, რომელსაც იყენებს სხვადასხვა საკითხზე უკუკავშირის მისაღებად. სხვადასხვა კითხვარის გაზიარება ხდება სოციალური ქსელის ჯგუფებში, აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები (შევსებული კითხვარები და გაანალიზებული შედეგები) და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. მოსწავლეებმა და მშობლებმა ექსპერტებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლის დირექცია არის ღია ნებისმიერ უკუკავშირთან და შეძლებისგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა სურვილებს/თხოვნებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სკოლა ცდილობს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამისად რეაგირებას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა

ევექსის ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალის ტრავმატოლოგია ორთოპედიის დეპარტამენტის რეკომენდაცია სპორტის გაკვეთილებთან დაკავშირებით. კერძოდ, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში თითოეული მოსწავლისთვის მნიშვნელოვანია კიდურების ატრავმატიზმი, რადგანაც ისინი ეუფლებიან სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ამიტომ სპორტის გაკვეთილებისთვის მოწოდებული იყო ნაკლები ტრავმის შემცველი გაკვეთილებით ჩანაცვლდეს, მაგ: ცეკვით. **ინდიკატორი 4.2.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მოსწავლეთა სწავლის საფასურზე შეღავათის მინიჭების თაობაზე შექმნილი კომისიის ოქმი N1 (15.09.2025წ.);
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძ.N18/ს; 31.05.2024წ.);
- სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ევექსის ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალის ტრავმატოლოგია ორთოპედიის დეპარტამენტის რეკომენდაცია სპორტის გაკვეთილებთან დაკავშირებით.
- კითხვარები და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა“ ხელს უწყობს მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სკოლა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიასთან თანაარსებობს. ამიტომ სკოლა მოსწავლეთა პროფორიენტაციის მომსახურების მიზნით ხელმძღვანელობს ,,მოსწავლის პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გეგმით ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლასა“ და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიას შორის თანამშრომლობის ფარგლებში (მუსიკალური მიმართულებით)“. ამ თანამშრომლობის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, განვითარება და მათი პროფესიული ორიენტაცია ადრეული ასაკიდანვე. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესს ერთობლივად გეგმავენ სკოლის ადმინისტრაცია და მუსიკალური სემინარიის ადმინისტრაცია. სკოლისა და მუსიკალური სემინარიის ერთობლივი, ინტეგრირებული საგანმანათლებლო მოდელი ქმნის ძლიერ საფუძველს მოსწავლეთა პროფესიული თვითგამორკვევისთვის.

სკოლაში მოქმედი პროფორიენტაციის გეგმის ძირითადი მიმართულებებია: ნიჭისა და ინტერესების იდენტიფიცირება; პროფესიული ცნობიერების ჩამოყალიბება; პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება; ინდივიდუალური საგანმანათლებლო და კარიერული გზის დაგეგმვა; კონსულტაციები და მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მომსახურების პროცესით გათვალისწინებულია მშობელთა ჩართულობაც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გეგმის ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ მუსიკალურ პროფესიებს მაგ: ინსტრუმენტალისტი-შემსრულებელი, ვოკალისტი-შემსრულებელი, კომპოზიტორი, დირიჟორი და ა.შ. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულია გამოცდილი მუსიკოს-შემსრულებლების ჩართულობა სასწავლო პროცესში მასტერკლასების მეშვეობით; ასევე აქტიური თანამშრომლობა კონსერტვატორიასთან; ღია და დახურული კონცერტები; ცოდნის შეფასებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, აუცილებელ ფორმას წარმოადგენს საანგარიშო კონცერტები კონსერვატორიაში წელიწადში ორჯერ ან სამჯერ; შემოქმედებითი თანამშრომლობა სხვადასხვა სკოლებთან; გამოსვლები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, სოლო კონცერტები, მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, მასტერკლასებში მონაწილეობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; ინტენსიური გამოსვლები სკოლის და სკოლის გარეთ სცენებზე. სოლო კონცერტები, კონცერტები ორკესტრთან ერთად კონცერტები და შიდა მოსმენები და სხვ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოლა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ არამარტო რეკომენდაციები პროფესიული განვითარების მიმართულებით და მოემზადონ უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლებისთვის (კონსერვატორია), არამედ კარიერული დაგეგმვის კუთხით აქვთ დაბალანსებული აკადემიური და პრაქტიკული დატვირთვა. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრებითაც. **ინდიკატორი 4.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მუსიკალური მიმართულებით მოსწავლე იღებს არა მხოლოდ ტექნიკურ ცოდნას, არამედ რეალურ ხედვას საკუთარი მომავლისა და კარიერული განვითარების გზებზე. სკოლის მიერ შემუშავებული ,,მოსწავლის პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გეგმით ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლასა" და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიას შორის თანამშრომლობის ფარგლებში (მუსიკალური მიმართულებით)", უზრუნველყოფს მოსწავლე – მუსიკის პედაგოგი – კლასის დამრიგებლის ერთობლივი შეხვედრებით მოსწავლის/მათი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე მოსწავლეები იღებენ კარიერულ კონსულტაციებს სკოლის სასწავლო ნაწილთან; სკოლა ახორციელებს მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს მუსიკალური პროფესიების პერსპექტივებზე; საჭიროების შემთხვევაში სკოლისგან იღებენ ინდივიდუალურ რეკომენდაციებს. კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დამრიგებლის საათის ჩატარებას. როგორც ექსპერტებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა უზრუნველყოფს შეხვედრების ორგანიზებას მშობლებთან, სადაც მშობლები მოსწავლეებს გააცნობენ თავიანთ პროფესიებს, შესაძლებელია დაინტერესების შემთხვევაში სამუშაო ადგილის გაცნობაც. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ მიუხედავად სკოლის სპეციფიკისა, მოსწავლეები თვისუფალნი არიან კარიერული დაგეგმვის პროცესში. როგორც მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რამდენიმე მოსწავლემ კარიერა გააგრძელა არა მუსიკალური გზით, არამედ სულ სხვა მიმართულებით, მაგ: საზღვარგარეთ ბიზნეს ადმინისტირების ფაკულტეტზე, ასევე ფიზიკა-მათემატიკური მიმართულებით და სხვ. **ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით, სკოლა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს: ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში, აცნობს პროფესიებს (მუსიკალური მიმართულებით), უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს და ა.შ. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარები გაწეული მომსახურების შეფასების მიზნით, რომლის გათვალისწინებას გეგმავს სკოლა მომავალ სასწავლო წელს მომსახურების

ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორი 4.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დამრიგებლის ანგარიშები;
- სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- მოსწავლის პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გეგმა ა(ა)იპ "ჩვენი სკოლასა" და თბილისის სახელმწიფოკონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიას შორის თანამშრომლობის ფარგლებში (მუსიკალური მიმართულება);
- კითხვარების ანალიზი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. სკოლას გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლეთა განათლების რეგულირების საკითხები სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი (ბრძ. N37/ს; 01.09.2025წ.). დოკუმენტში განმარტებულია სსსმ მოსწავლე, სკოლის მიერ სსსმ მოსწავლის გამოვლენის მექანიზმი, პირველად მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, განხორციელება და გადახედვა, ისგ ჯგუფის მუშაობა, სხდომაზე განსახილველი საკითხები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფსება, დასწრება და გაცდენები.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი და წარმოადგინა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაც. **ინდიკატორი 4.2.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმაში და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა ზრუნავს სხვადასხვა აქტივობებით გაზარდოს სასკოლო საზოგადოების ცნობიერება სსსმ მოსწავლეებთან თანამშრომლობის კუთხით. აღნიშნული დასტურდება სკოლის ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობებით, რაც ასევე დასტურდება მოსწავლეებთან გასაუბრებით. მაგ: დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე (ცნობადობის ამაღლება მოზარდებში); აუტიზმის ცნობადობის ამაღლება მოზარდებში და სხვ. **ინდიკატორი 4.2.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი (ბრძ. N37/ს; 01.09.2025წ.);
- ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ფსიქოლოგის პორტფოლიო.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიზანია შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს ისწავლონ აღნიშნულ სკოლაში. 2012 სასწავლო წლიდან, საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი პროფილური სამინისტროს ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით, ,,ჩვენს სკოლასა“ და სემინარიაში ამოქმედდა უნიკალური პროექტი "პანსიონი", რომლის ფარგლებში ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან საგანგებოდ ირჩევა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე 10 ბავშვი, რომელთაც ეძლევათ მუსიკალური და ზოგადი განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობა თბილისში. ბავშვები ცხოვრებენ საგანგებოდ შერჩეულ ოჯახებში. მათი მოვლისა და კვების ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ამ პროცესის თანამონაწილეა ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა“. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მოსწავლეთა სწავლის საფასურზე შეღავათის მინიჭების თაობაზე შექმნილი კომისიის ოქმი N1 (15.09.2025წ.). როგორც ოქმიდან და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბრის N35/ს ბრძანებით შექმნილია კომისია, რომელიც განიხილავს მოსწავლეთა სწავლის საფასურზე შეღავათების საკითხს. ვიზიტის პერიოდში შეღავათით სარგებლობდა 14 ბავშვი, უფასოდ სწავლობდა 9 ბავშვი (პანსიონის პროგრამით).

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში კონსერვატორია უფლებას აძლევს სკოლას უსასყიდლოდ ისარგებლოს შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოთი. (მუხლი 3. პუნქტი 3.2.7.). სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ასევე ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე(ფასიანი), რომელიც ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას და მშობლების სურვილით არიან მოსწავლეები ჩართულნი აღნიშნულ სწავლებაში. გახანგრძლივებული სწავლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. ინტერვიუს დროს მშობლების მხრიდან დაფიქსირდა კმაყოფილება აღნიშნული სერვისის არსებობაზე. **ინდიკატორი 4.2.4.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სასკოლო სასწავლო გეგმით 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანამანათლებლო მომსახურებას სხვადასხვა წრეების (ფასიანი) ფუნქციონირების გზით. კერძოდ 1. ჭადრაკის წრე I-VI კლასები 2. გახანგრძლივებული სწავლება I-VI კლასები მოსწავლისთვის, რომლებშიც მონაწილეობა მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი

ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. თითოეულ მათგანში მონაწილეობის წესი ნებაყოფლობითია. თითოეული მათგანის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მუსიკალურ სემინარიასთან თანაარსებობის პირობებშია, სწავლება სკოლასა და სემინარიაში ურთიერთთავსებადი ცხრილით ხორციელდება, რაც ზოგავს ბავშვების დროს და ხელს უწყობს როგორც ზოგადი განათლების, ისე სამუსიკო ხელოვნების საგნების სწავლის შედეგებზე თანაბარი მაღალი ხარისხით გასვლას. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სკოლა საათობრივ ბადეში ითვალისწინებს მუსიკასთან დაკავშირებული საგნების სწავლებას ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მ. დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამების შესაბამისად. **ინდიკატორი 4.2.4.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

გახანგრძლივებული სწავლება მიმდინარეობს სკოლაში არსებული უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი 4.2.4.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ მოსწავლეთა სწავლის საფასურზე შეღავათის მინიჭების თაობაზე შექმნილი კომისიის ოქმი N1 (15.09.2025წ.);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ დირექტორის ბრძანება ,,2025-2026 სასწავლო წელს ა(ა)იპ ,,ჩვენის სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული სწავლების წრის შექმნის შესახებ“ (ბრძ. N47/ს. 12.09.2025წ.);
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი რეგულირდება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „ა(ა)იპ ,,ჩვენსსკოლაში" სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის ეტაპებს; უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ, გამჭვირვალე და მონაწილეობაზე დაფუძნებულ განხორციელებას.

მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპს და ქმნის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული არიან სკოლის დირექტორი, საგნობრივი კათედრები და მასწავლებლები. ასევე უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობა, რაც ხელს უწყობს სკოლის საჭიროებებზე მორგებული და რეალურ საგანმანათლებლო კონტექსტთან შესაბამისი კურიკულუმის შექმნას.

დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეთა როლები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპზე: საჭიროებების იდენტიფიცირება და დაგეგმვა, კურიკულუმის შემუშავება, მისი დანერგვა სასწავლო პროცესში, განხორციელების მონიტორინგი, შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში რევიზია. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას და მის შესაბამისობას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, ასევე სკოლის განვითარების პრიორიტეტებთან.

კურიკულუმის განვითარება სკოლის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რაც ასახულია როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ასევე შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის'' კურიკულუმი შეესაბამება სკოლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას სკოლის საგანმანათლებლო მიზნებთან. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებული სამუსიკო საავტორო პროგრამა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ ასახავს კურიკულუმი პედაგოგის პროფესიულ ხედვასა და სკოლის სპეციფიკურ პრიორიტეტებს. **ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის'' კურიკულუმების შემუშავების პროცესი ერთნაირი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს და მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეთა როლები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: პედაგოგების ვალდებულებები: უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით; უნდა მიიღოს მონაწილეობა კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კათედრის თავმჯდომარის ვალდებულებები: უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების/სასწავლო პროცესის შესახებ; უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს; უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას უნდა მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის შესახებ შეიცავს ინფორმაციას; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია - კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს. **ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" კურიკულუმის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილია წინასწარ განსაზღვრული მექანიზმებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. სკოლა იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო პლატფორმებს, რათა უზრუნველყოს კურიკულუმის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო სივრცეშიც – საინფორმაციო დაფების, ბეჭდვითი მასალებისა და სხვადასხვა საინფორმაციო რესურსის გამოყენებით. სკოლამ მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდის მიზნით, მშობელთა ინფორმირების გზად აირჩია სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით ინფორმირება და საჭიროებისას პირადი შეხვედრა. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს კურიკულუმის გამჭვირვალობას, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და პროცესში მათი ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი);
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 სასწავლო წლები);
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში (2024-2025 სასწავლო წელი);
- ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის" სასკოლო სასწავლო გეგმა კონცეპტუალური ნაწილი (2025-2026 სასწავლო წელი);
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" საგნობრივი კურიკულუმები;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" კათედრის შეხვედრის ოქმები;
- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სამივე საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება შემოქმედებით დავალებებს და ითვალისწინებს, თუ რა შეძლეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრეს და რამდენად მიუახლოვდნენ ისინი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს კონკრეტულ თემაში, კონკრეტული საკითხების შესწავლისას. სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია საკმაოდ კარგი კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები. თუმცა, ზოგ შემთხვევაში კურიკულუმებში შეტანილი შემოქმედებითი დავალების იდეა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მაგალითად, ქიმიის მე-9 კლასის კურიკულუმში არ არის შემოქმედებითი დავალებების იდეები მკაფიოდ გაწერილი, თუმცა კურიკულუმს ახლავს ორი შემოქმედებითი დავალების ბარათი. სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს თემები და საკითხთა კლასტერები, თუმცა, თემების სახელწოდებების გრაფაში ზოგჯერ ფიგურირებს სახელმძღვანელოს თავების სახელწოდებები. საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-9 კლასის კურიკულუმში თემის გრაფაში წერია სხვა ინფორმაცია. სამივე საფეხურზე მოსწავლეთა ნაშრომების, მათი ანალიზის, მასწავლებლების რეფლექსიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი

	ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას. სკოლას მიეცა **რჩევა:** ● *სასურველია, საბაზო საფეხურის ქიმიის მე-9 კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალებების იდეების შეტანა;* ● *საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე- 9 კლასის კურიკულუმში თემის ჩასწორება;* ● *საბუნებისმეტყველო საგნების და ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში სავალდებულო თემების სახელწოდებები უნდა იყოს აღებული ესგ-დან.* **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ - დაწყებით საფეხურზე, „ისტორია“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“, „საქართველოს ისტორია“ - საბაზო და საშუალო საფეხურზე) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები, ასევე სკოლის ის ნიშა, მუსიკალური ხაზი, რაც სკოლაში გაძლიერებული მიმართულებაა. საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) X-XI კლასების კურიკულუმები ითვალისწინებს XII კლასის სავალდებულო თემების ინტეგრირებას. ინტერვიუს ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ამ მოდელის პრაქტიკაში დანერგვის სირთულეებსა და შედეგებზე. საგნების — მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობა — კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, ძირითადად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გააზიარეს საკუთარი გამოცდილება კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების განხორციელების კუთხით და გამოკვეთეს სამომავლო ხედვაც. მათ სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებზე.

	სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) • *სასურველია, ყველა თემაში ჩანდეს მკაფიოდ შემოქმედებითი დავალების პირობა, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე და აღძრავს მათ შემოქმედებითობისაკენ. თითოეულ თემაში უნდა ჩანდეს რითი ჯამდება, რას ქმნიან მოსწავლეები. მკაფიოდ მიეთითოს თუ რა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში.* **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნილებებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ხოლო შერჩეული თემები მიზნად ისახავს ენობრივი უნარების განვითარებას. კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ცოდნის ყველა კატეგორიის გააქტიურებას. სკოლას მიეცა **რჩევა**: (სამივე საფეხურისთვის) • *სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება;* • *ყველა შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს სრული და ფორმულირდეს ნათლად და გასაგებად. იდეაში მკაფიოდ მიეთითოს თუ რა ცოდნა უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ ცნებებთან მიმართებაში. ასევე სასურველია კონტექსტ მაგალითებში იყოს უშუალოდ ის მაგალითები, რომელზე დაფუძნებითაც მოსწავლეები შეძლებენ ნამუშევრების შექმნას;* • *კურიკულუმში გაემიჯნოს ერთმანეთს კონტექსტ-მაგალითის, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსების ველი.* **ინდიკატორი2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნილებებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. პედაგოგები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ გასული აკადემიური წლის

	შედეგებს, მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს, სწავლების სუსტ და ძლიერ მხარეებს. სკოლაში დამკვიდრებულია კათედრის წევრებს შორის ურთიერთგაზიარების კულტურა, რაც მათ ეხმარებათ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ მრავაფეროვანი, შემეცნებითი და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. ესთეტიკის აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მთავრი პრინციპების მიხედვით. **ინდიკატორი 2.1.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. იყო ცალკეული ხარვეზები, მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში ცნებათა ველში ყველა ცნება არ იყო მითითებული და, შესაბამისად, არ ჩანდა, რომ წლის განმავლობაში მუშავდებოდა ყველა ცნება. ტესტი/კონტექსტი და რესურსების სვეტი არ იყო თანხვედრაში. მე-6 კლასის კურიკულუმში მთლიანად შესაცვლელი იყო ჩარჩო. არ ჰქონდა შემოქმედებითი დავალების ველი და ცნებებზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობას ნაკლებად იძლეოდა. მე-7 კლასის კურიკულუმში არ იყო ცნებათა ველი შევსებული და არ ჩანდა, რომ წლის განმავლობაში მუშავდებოდა ყველა ცნება. მე-9 კლასის კურიკულუმში მცირე რაოდენობით იყო შემოქმედებითი ტიპის დავალება და არ ჩანდა, რომ ყველა ცნება მუშავდებოდა წლის განმავლობაში. მე-12 კლასის კურიკულუმში მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალება იყო წარმოდგენილი და ა. შ. თუმცა, კათედრასთან შეხვედრისას გამოჩნდა, რომ ბევრად მეტი კომპლექსური დავალება აქვთ განხორციელებული და ისიც აღნიშნეს, რომ სრულად აქვთ გააზრებული მითითებული ხარვეზები, და რომ იმუშავებენ მათ დახვეწაზე, რის დასტურადაც მასწავლებლებმა დამატებით გამოგზავნეს უფრო დახვეწილი კურიკულუმის ნიმუშები საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. *სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) **სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის***

	შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება, აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები (ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ-სა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. რამდენიმე კურიკულუმში იყო ტექნიკური შეცდომები, რაზეც გასაუბრების დროს მასწავლებლებს გაეწიათ რეკომენდაციები, ისინი მიხვდნენ და აღნიშნეს, რომ აუცილებლად შეასწორებდნენ კურიკულუმს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში შევსებულია სავალდებულო ველები, მათ შორის თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები, შუალედური დავალების იდეები, შესაბამისი სასწავლო რესურსები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შუალედური/შემოქმედებითი დავალების მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,

	საჭიროებებს და შესაძლებლობებს. რაც აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმიდან ჩანს, რომ დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად წარმოჩინდა, რომ მასწავლებელს კომპლექსური დავალებები განხორციელებული აქვს და მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ექსპერტისგან მოისმინეს შენიშვნები იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილ კურიკულუმებში აღინიშნებოდა. საწყის ეტაპზე გადმოგზავნილ დოკუმენტებში არ იყო გაწერილი ყველა სამიზნე ცნება; ბმულების უმრავლესობა არ გადადიოდა შესაბამის რესურსებზე ან საერთოდ არ იყო გაზიარებული, ხოლო ჩარჩოს ზოგიერთი ველი ცარიელი რჩებოდა. მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თაობაზე და წარმოადგინა განახლებული ვერსიები, რომლებიც ფარავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა საგნობრივ სამიზნე ცნებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხარვეზიანი ბმულების უმრავლესობა, გასწორების ნაცვლად, ამოღებულია, ხოლო კონკრეტული კონტექსტ-მაგალითები კურიკულუმის ახალ ჩარჩოში აღარ არის მითითებული. კარგი იქნება, რომ მასწავლებელი ორივე სახის კურიკულუმის შეჯერებით ახორციელებდეს სრულყოფილი საგნობრივი კურიკულუმების გამოყენებას კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. სკოლას მიეცა **რჩევა:** • **სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში სვეტში „მაგალითი შედარებისთვის" მიეთითოს კონკრეტული, უკვე მზა რესურსები, სურათის ან ბმულის სახით, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს წარმოდგენა შეექმნება იმ დავალების პროდუქტზე, რასაც შუალედური/შემოქმედებითი დავალება გულისხმობს.** **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IVკლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები

დაწყებითი საფეხური	შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა, I კლასი – „მხიარული რიცხვების მატარებელი"; ქართული, II კლასი – „წერილის მიწერა პერსონაჟისთვის"; მე და საზოგადოება, III კლასი – „საინფორმაციო ბროშურის შექმნა"; ბუნებისმეტყველება, II კლასი – „წყლის ტრანსპორტის მოდელების შექმნა"). აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგები აცნობიერებენ კურიკულუმის მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ისინი კურიკულუმს იყენებენ სასწავლო მიზნების განსაზღვრის, აქტივობების დაგეგმვისა და სასწავლო შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, საგნობრივ კათედრებზე განისაზღვროს კურიკულუმების ერთგვაროვანი ფორმატი და სტრუქტურა.** **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სწავლის შედეგები და საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. ქიმიის მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმებში, საკითხთა კლასტერის გრაფაში, ზოგან

	მხოლოდ ერთი საკითხია მითითებული, რაც შინაარსობრივ გამრავალფეროვნებას საჭიროებს. გარდა ამისა, კონკრეტულ თემებში ყველა ცნების დამუშავების პროცესი ყოველთვის მკაფიოდ არ იკვეთება; მაგალითად, მსგავსი ხარვეზი ფიქსირდება დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. მასწავლებლებს შესრულებული აქვთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება, ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია, შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ამგვარად, შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) ● **სასურველია, ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას. დაწყებითი საფეხურის მე-4, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებების კრიტერიუმების მოდიფიცირება შესაძლებელია ისე, რომ მაქსიმალურად მეტი ცნება დამუშავდეს კონკრეტულ თემაში. ზოგიერთ თემაში შესაძლებელია ყველა ცნების დაფარვა;** ● **საბაზო და საშუალო საფეხურის ქიმიის მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმებში საკითხთა კლასტერების ჩასწორება.** **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე

	ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული ან გამორჩენილია. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) • **სასურველია, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება („მე და საზოგადოებაში" III-IV კლასის კურიკულუმი პირველ სავალდებულო თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები ზრუნვა, ინსტისტუცია, პიროვნება);** • **გადაიხედოს სავალდებულო თემების შესაბამისობა ესგ-სთან („ჩვენი საქართველო", XI -XII კლასის ინტ. კურიკულუმი „გეოგრაფია");** • **კათედრაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს ერთი ფორმა კურიკულუმის, რომელიც მარტივად წასაკითხი, აღსაქმელი და დასანერგი იქნება სამუშაო პროცესში. აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი გრძელვადიანი მიზნები(ცნებები) და შესაბამისი დავალების იდეა/პირობა.** **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმები სამივე საფეხურზე ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის უცხო ენების საგნობრივ სტანდარტში. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) • **სასურველია, კათედრაზე დამტკიცებული იყოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი;** • **ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;** • **კურიკულუმს მიეთითოს სწორად ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს (მაგ: I უცხ.დაწყ.1);** • **კათედრამ ერთობლივად იმუშაოს კურიკულუმის შეჯერებაზე სტანდარტთან მიმართებაში, რათა უზრუნველუოფილი იყოს ერთიანი ხედვა და თანმიმდევრული სწავლების პროცესი;**

	XI კლასის, მეორე უცხო ენის, გერმანულის კურიკულუმში შერჩეული იქნას სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს მეორე უცხო ენის ფლობის დონის შესაბამისობას მოცემულ საფეხურზე. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნილებებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ა(ა)იპ ჩვენი სკოლა არის სამუსიკო სემინარიასთან თანაარსებობაში მყოფი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სამუსიკო განათლების მიმართულებით გაძლიერებული აქვს სწავლება. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-10 მუხლის, მე-2 პუნქტის მიხედვით სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალიზებული სამუსიკო საავტორო სასწავლო პროგრამა, შეფასების სისტემა და სასწავლო რესურსები, რომელიც მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მუსიკის სწავლება მოიცავს, როგორც თეორიული ცოდნის დაუფლებას და ანალიზს, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას საშემსრულებლო მიმართულებით. ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები მეტ-ნაკლებად პასუხობს სასკოლო სასწავლო გეგმის წლიურ მისაღწევ შედეგებს. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დანერგვის და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება კურიკულუმი, მათი სამუშაო წლიური გეგმა, დაგეგმონ ეროვნული სასწავლო შედეგების გათვალისწინებით. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) ● **სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმის ქუდში სრულყოფილად იქნეს მითითებული სკოლის სრულყოფილი დასახელება; მიმდინარე აკადემიური სასწავლო წელი; წლიური საათების რაოდენობა; ძირითადი სასწავლო რესურსი (კლასი, ავტორი, გამომცემლობა, წელი)** **<u>სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ხელოვნების კურიკულუმში გაიწეროს:</u>**

	• **საგნობრივი სტანდარტის სავალდებულო თემატური ბლოკები და მასთან მიმართებაში გაიწეროს თემები;** • **სამიზნე ცნებებთან ერთად აუცილებელია, გაწერილი იყოს ის ქვეცნებები, რომელსაც თემის ფარგლებში ამუშავებს პედაგოგი;** • **თემის ფარგლებში საკითხები გაიწეროს დეტალურად და მოხდეს დაკონკრეტება, რაც გულისხმობს იმ შესასწავლი საკითხების დეტალიზებას, რომელიც არჩეული თემის ფარგლებში უნდა შეასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს. საკითხები შესაძლებელია გაიწეროს ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით;** • **კურიკულუმის თემის ფარგლებში გაიწეროს ერთი შემოქმედებითი/პროექტული ტიპის დავალების პირობა, რომელიც იქნება დეტალური და ჩაშლილი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი, რომელიც შეაჯამებს თემის ფარგლებში მოსწავლის ცოდნას.** **ინდიკატორი2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია ცნებათა სწავლებაზე, რისი მანიშნებელიცაა ე. წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება, თუმცა მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე შუალედური, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს**

	სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ექვისივე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის - კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებასა და გაცნობიერებას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქვთ პროექტების განხორციელების კარგი გამოცდილება, განსაკუთრებით მუსიკასთან ინტეგრაციით. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. სკოლას მიეცა **რჩევა:** • **სასურველია, ბუნებისმეტყველების II კლასის კურიკულუმში მოსწავლის ბარათში შეცვალონ სამიზნე ცნებები მოქმედი სტანდარტის შესაბამისად;** • **III კლასის კურიკულუმში მიუთითონ ის შემოქმედებითი დავალება, რომელიც წარმოდგენილია კურიკულუმში, დაამატონ საკითხები;**

	• სასურველია, რომ ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; • ქართულის II კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაამატონ ქვეცნებები; • III და IV კლასის ქართულის კურიკულუმში შემოქმედბითი დავალების სვეტში მიუთითონ დავალების სათაური; • მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში დაამატონ თემები და კონტექტ-მაგალითებს დააკვირდნენ. დაამუშაონ თემაში სამივე სამიზნე ცნება; • სასურველია, მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს ქვეცნებები; • კარგი იქნება თუ, ოთხივე საგნის კურიკულუმებში წარმოადგენენ აქტივობებს, რომელსაც იყენებენ შემოქმედებითი დავალების შესრულებამდე. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი ატქივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსების გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში, თუმცა ზოგიერთ კურიკულუმში, მაგალითად, ბიოლოგიის მე-11 კლასის კურიკულუმში სასურველია, რესურსების გამრავალფეოვნება. სასურველია საბუნებისმეტყველო კაბინეტი მეტად მორგებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებზე, თუმცა საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რომელთა გამოყენებაც ლაბორატორიის რესურსებთან ერთად შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას. საბუნებისმეტყველო კათედრაზე აქვთ მოსწავლეების მიერ დამზადებული რესურსები. აგრეთვე სკოლას აქვს კომპიუტერები და სათანადო ელექტრონული აღჭურვილობა, ამდენად ხელმისაწვდომია ელექტრონული

	რესურსებიც. სკოლას მიეცა **რჩევა:** ● **ლაბორატორიული ბაზის არასრულყოფილების მიუხედავად, მიზანშეწონილია პრაქტიკაში აქტიურად დაინერგოს ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარება იაფი, ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით. მსგავსი აქტივობების დეტალური აღწერილობა მრავლადაა წარმოდგენილი გრიფირებულ სახელმძღვანელოებში;** ● **სასურველია, გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც.** **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე ციფრული, ინტერნეტ რესურსები. სკოლას აქვს ლინგაფონის კაბინეტი აღჭურვილი აუდიო აპარატურით. საგაკვეთილო პროცესების მსვლელობისას გამოყენებულია პოსტერები, ქარდები. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) ● **სასურველია, კათედრამ გაამდიდროს კურიკულუმი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა;** ● **კურიკულუმში ინტეგრირდეს სანდო და მიზნობრივი ინტერნეტ რესურსები, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება სასწავლო თემატიკასთან;** ● **დაემატოს კონტექსტზე დაფუძვნებული მაგალითები/კონტექსტ მაგალითების სახით.** **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნილებებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის პედაგოგებთან გასაუბრების ანალზის შედეგად გაირკვა, რომ სამუსიკო საგნების მიმართულებით სკოლა იყენებს სპეციალიზებულ საგანმანათელებლო

	სასწავლო რესურსებს, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი პედაგოგების მიერ. აღნიშნული სასწავლო რესურსები ხელს უწყობს სიღრმისეული და პროფესიული სამუსიკო განათლების მიმართ ცოდნის გაღრმავებას. სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე იყენებენ დამატებით სასწავლო რესურსებს, რომელიც გაწერილია პროგრამაში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, სწავლების სამივე საფეხეურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სკოლა იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად სასწავლო რესურსებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამხმარე სასწავლო რესურსებში წარმოდგენილი აქვთ სამინისტროს ციფრული რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები, ხელოვნების ისტორიის შესწავლისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საინტერესო შემეცნებითი რესურსები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და გაანალიზების საფუძველზე, ხელოვნების (I -VI კლასები) კურიკულუმის ქუდში გაწერილი ძირითადი სასწავლო რესურსი და *<u>სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის N1 ოქმის, დანართი 2-ში</u>* კათედრის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი არ არის ერთმანეთთან თავსებადი. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია ესთეტიკის საგნების სწავლისთვის საჭირო მატერიალური და ონლაინ რესურსებით, სასწავლო გარემო აღჭურვილია სწავლებისთვის შესაბამისი რესურსებით. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) • **გადაიხედოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი სასწავლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები) სწავლების სამივე საფეხურზე და მოხდეს თანხვედრა *ა(ა)იპ ჩვენის სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის N1 ოქმის, დანართი 2-ში* კათედრის მიერ არჩეულ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალთან;** • **2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში დამუშავდეს და შეიქმნას ესთეტიკური აღზრდის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.**

	ინდიკატორი2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მასალებს იუთუბ არხიდან, ინტერნეტრესურსებს და დამატებით ლიტერატურას. ჩანს, სახელმწიფო ენაში სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სწავლის მიზნების გათვალისწინებით, მოსწავლეებს მათზე მორგებულ მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი სახელმძღვანელოები, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით, პროექტი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ და ფიზიკური აქტივობების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	აღსანიშნავია, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს, ამიტომ მასწავლებლები ძირითადად იყენებენ სამინისტროსთან შეთანხმებულ School.emis.ge ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, სწორედ ამ რესურსს იყენებს წარმოდგენილი სკოლის მასწავლებელიც. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან სამუშაოდ ასევე იყენებს სხვადასხვა სახის დამხმარე ბეჭდურ წიგნებს, ასევე წიგნს „გამარჯობა, რუბი“ და სხვა ონლაინ მედია საშუალებებს. მოსწავლეები სკოლაში უზრუნველყოფილნი არიან კომპიუტერებით, მათ აქვთ კომპიუტერები ასევე სახლებშიც და შეუძლიათ დავალებების

	შეუფერხებლად შესრულება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლაში უზრუნველყოფილია მათთვის დრო და ადგილი კომპიუტერულ ლაბორატორიაში სამუშაოდ. სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი სახელმძღვანელოები, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, ყველა საგნობრივ კურიკულუმში საგნობრივმა კათედრებმა ერთნაირად უზრუნველყოს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და შეიმუშაოს მათი მითითების საერთო წესი. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. შუალედური მიზნის მისაღებად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს დიფერენცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სახვადასხვა ტიპის აქტივობები (დავალებები). შემუშავებული კურიკულუმებიდან ჩანს, რომ რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, სწავლის სტილიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საბუნებისმეტყველო საგნებში და ბუნებისმეტყველებაში არ იყო წარმოდგენილი ადაპტირებული კომპლექსური ტიპის დავალებები სსსმ მოსწავლისთვის, იმ მოსაზრებით,

	რომ არ ჰყავთ ასეთი საჭიროებების მოსწავლეები, თუმცა, მასწავლებლებთან შეხვედრისას მათ ისაუბრეს, თუ როგორ მოახდენენ კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლისთვის, როდესაც ამის საჭიროება იქნება. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) **სასურველია, კათედრამ მეტად იმუშაოს დიფერენცირებული დავალებების შექმნაზე, მოახდინოს კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის ან დაბალი მზაობის მოსწავლეებისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები.** **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე არ ჰყავთ, თუმცა გამოცდილება აქვთ სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების შედგენის, რომლის ფარგლებშიც, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, საგნის ფარგლებში სასწავლო წლის მანძილზე გაწერილ კურიკულუმში მოსწავლეებს შევთავაზოთ მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები (VIII კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში მთელი სასწავლო წლის მანძილზე გაწერილი სამივე შემოქმედებითი პროდუქტი მოიაზრებს წერილის შექმნას). ასევე, მთავარია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.** **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს მზაობის შესაბამისად. დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ უცხო ენების პედაგოგებს გააჩნიათ კომპეტენცია და მზაობა დაგეგმონ დიფერენცირებული სასწავლო

	აქტივობები, თითოეული მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების მიხედვით. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) **სასურველია, კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის (რომლებიც დაბალი აკადემიური მზაობით გამოირჩევიან), დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.** **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის ანალიზის საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების როლი, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამჟამად სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე, სკოლას აქვს მზაობა და ადაპტირებული აქვს სასწავლო გარემო. კურიკულუმით გაწერილი შემოქმედებითი დავალება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს. სკოლას მიეცა **რჩევა: (სამივე საფეხურისთვის) სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს გამართული, მოსწავლისთვის გასაგები ენით მიწოდებული, დაკონკრეტებული, მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებული, მოდიფიცირებული და გათვალისწინებული იქნას დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.** **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) **სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები სრულად აისახოს კურიკულუმებში.** **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების

	საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმები შემუშავებული და შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	პედაგოგთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. საგანში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა საჭიროების შემთხვევაში იქონიონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განხორციელებული აქტივობები. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	საგნის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში იძებნება აქტივობები, სადაც ჩანს, რომ მის მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, როგორც რესურსების, ასევე პროგრამების გამოყენებისას. ინტერვიუს დროსაც მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ხშირად გეგმავს და მოსწავლეებთან იყენებს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. ის ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ამის მიხედვით დაგეგმილ აქტივობებს გაკვეთილებზე პრაქტიკულად ახორციელებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი.

	დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. სასწავლო პროცესში რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, თუ საგნობრივი კათედრები ოთხივე საგნის კურიკულუმებში შეიტანს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით შემუშავებულ აქტივობებს.** **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა ნამუშევრები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავთარებელი. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესგ განსაზღვრულ მიზნებს, შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები მოცემულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. საგნობრივ კათედრაზე განიხილება მოსწავლეთა მიღწევები, რათა შედეგებზე დაყრდნობით გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურზე, სკოლაში

მეცნიერებები	ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს, როგორც მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. დაწყებით საფეხურის I-VI კლასები რუბრიკები ასახავს შეფასების კრიტერიუმებსა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მიდგომებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე VII-XII კლასების ფარგლებში წარმოდგენილი რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად მიემართება კონკრეტულ ცნებებს/სასწავლო მიზნებსა და დავალების შესრულების ინდიკატორებს. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ატარებენ წელიწადში ორჯერ, პირველი სემესტრის დასაწყისში და მეორე სემესტრის ბოლოს. ასევე აქვთ სასწ.წლის ბოლოს გამოცდა. სკოლას მიეცა **რჩევა: (სამივე საფეხურისთვის) სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.** **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან წარმართულ ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ კათედრას გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად მოსწავლეთა შეფასების სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. დაწყებით საფეხურის (I-VI კლასები) რუბრიკები დეტალურად ასახავს შეფასების კრიტერიუმებსა და

	მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მიდგომებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლასები) წარმოდგენილი რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად იკვეთება მათი კავშირი კონკრეტულ სასწავლო მიზნებსა და დავალების შესრულების ინდიკატორებთან. სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) ● **სასურველია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით წინასწარ განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;** ● **სასწავლო პროცესში წინასწარ დაიგეგმოს განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიუთითებს არა მხოლოდ შეცდომაზე, არამედ გაუმჯობესების გზებზე; გაკვეთილს პროცესში გამოიყენონ სხვადასხვა შეფასების ფორმა: თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, რუბრიკები, ჩეკლისტები.** **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნოებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების გაანალიზების საფუძველზე, სკოლა სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ხელმძღვანელობს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გაწერილი აქვს სკოლის სასწავლო გეგმაში. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში შემოქმედებით/ პრაქტიკულ დავალებებს თანდართული აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებას აქვს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა მორგებული არის კონკრეტული შემაჯამებელი დავალების ფარგლებში, საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით შეფასების კრიტერიუმებზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. თუმცა, თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ რუბრიკებში ნაკლებად იყო

	ასახული მე-3 თაობის ესგ-ს მოთხოვნები. შეხვედრისას გაირკვა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისი რუბრიკების შესაქმნელად, რის დასტურადაც ხელახლა გადმოგზავნეს რამდენიმე ნიმუში, სადაც ცნებებზე მორგებული შეფასება ჩანდა. სკოლას მიეცა **რჩევა: (სამივე საფეხურისთვის) სასურველია, სახელმწიფო ენაში კათედრამ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებისთვის შექმნას მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკათა ბანკი. ასევე შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.** ***ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***
მათემატიკა	შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. სკოლას მიეცა **რჩევა: (სამივე საფეხურისთვის) სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	*სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია, რომ სკოლა მოსწავლეთა შესაფასებლად იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს.* *კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი გაკვეთილის გეგმა (შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკით), ისე შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების ანალიზი — შესაბამისი კრიტერიუმების მითითებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს შეფასების რუბრიკების სხვადასხვა სახეობა.*

	სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს სხვა საგნებში მოსწავლეთა შეფასების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების შექმნის და გამოყენების გამოცდილება. სკოლას წინასწარ წარმოდგენილი ჰქონდა ზოგადი სახის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაზეც მიეცათ შენიშვნა და ვიზიტის მეორე დღისთვის დამატებით გამოაგზავნეს შეფასების რუბრიკები. თუმცა, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შეფასების რუბრიკები საჭიროა დაკორექტირდეს და გამოიყენონ სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლას მიეცა **რჩევა: მოსწავლეთა შესაფასებლად კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლამ უნდა შეიმუშავოს და იხელმძღვანელოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით.** **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. სკოლას მიეცა **რჩევა:** ● **სასურველია, საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები;** ● **სასურველია, თუ I-IV კლასში შეიმუშავებენ დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს;** ● **სასურველია, თუ მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთება კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც სამიზნე ცნებების დამუშავებაზე იქნება ორიენტირებული.** **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N16/ს; 31.05.24 წ.);
- სასკოლო სასწავლო გეგმა (ბრძ. N45/ს; 12.09.25 წ.);
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (ბრძ. N22/ს; 31.05.24 წ.);
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები (ბრძ. N37/ს; 01.09.25 წ.);
- შემოქმედებითი დავალებები და მათი ამსახველი ფოტო-მასალა;
- დაწყებითი,საბაზო, საშუალო საფეხურის პორტფოლიოები;
- მოსწავლის ბარათები;
- საგნობრივი კათედრების სამოქმედო და აქტივობების გეგმები;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- არაფორმალური განათლების ამსახველი ფოტო-მასალა;
- კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმა-ეტაპები და რეფლექსიები;
- მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები (შემოქმედებითი პროდუქტები);
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- დიაგნოსტიკური წერის შეფასების დოკუმენტაცია;
- მუსიკის საავტორო სასწავლო პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. შეფასების რუბრიკებიდან, კომპლექსური დავალებების ანალიზიდან, ვერიფიკაციის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია აგრეთვე მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია

	სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას, დავალების პირობის გამარტივებასა და დაზუსტებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; **სკოლას მიეცა რჩევა: (სამივე საფეხურისთვის)** • **სასურველია, უცხო ენების კათედრამ გადახედოს სხდომის ოქმებს და შედარდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან, რათა აღმოიფხვრას ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერები, როგორიცაა დიაგნოსტიკური წერის შეფასების ზეგავლენა მოსწავლის სემესტრულ ნიშანზე;** • **კათედრის გადაწყვეტილებები სრულ თანხვედრაში მოვიდეს სკოლის სასწავლო გეგმასთან და ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან;** • **განისაზღვროს ერთიანი ხედვა, რომელიც აისახება ყველა შესაბამის დოკუმენტში.** **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	შესწავლილი დოკუმენტების და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზის მიხედვით, სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის საინტერესო, შემეცნებითი თეორიული და პრაქტიკული აქტივობებით, სწავლების პროცესში შეთავაზებული არის მრავალფეროვანი, ვიზუალური და მოსასმენი მასალა, რაც მოსწავლეს ეხმარება განვითარების პროცესში. კურიკულუმით გაწერილი კომპლექსურ/შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეებს აძლევს

	შესაძლებლობას წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედებითი ხედვა და წინარე ცოდნაზე დაფუძნებით სხვადასხვა ხერხების და ტექნიკების გათვალისწინებით შეასრულონ დავალება. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კომპლექსური დავალება ან ნებისმიერი ტიპის შემოქმედებითი პროდუქტი შერჩეულია კურიკულუმში გაწერილი თემის შესაბამისად. დავალების პირობა კავშირშია მოსწავლის როლთან და სასწავლო შედეგებთან, თუმცა დავალება სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ცნებას ამუშავებს. სკოლას მიეცა **რჩევა: (სამივე საფეხურისთვის) სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს იმ რაოდენობის კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალება, რამდენის განხორციელებაც შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით და ყველა ცნების დამუშავება მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში.** **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია შეძლებისდაგვარად მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს სწავლების სამივე საფეხურზე.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის). პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს**

	სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ გადმოგზავნილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, პრეზენტაციების და სხვა ნამუშევრების სახით, მათ შორის „ახალი წელი“, „აღდგომა“, „წიგნის სარჩევის შექმნა“, ნახატები - ეს ნამუშევრები შეესაბამება სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებს. სასკოლო საგნობრივ კურიკულუმთან სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისობიდან, ასევე მასწავლებელთან ინტერვიუდან ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან კურიკულუმით გაწერილ აქტივობებში და პროექტებში, რაც ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, მოეწყოს I-IV კლასის მასწავლებლების მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას. ინდიკატორი 2.2.1.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა” სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ავლენს მზაობას გეგმებში ცვლილებების შეტანის კუთხით. უცხოური ენების, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრებზე მასწავლებლები დავალებებსა და რესურსებს არჩევენ მოსწავლეთა მიმდინარე მზაობის მიხედვით. დაბალი აკადემიური მზაობის გამოკვეთის შემთხვევაში, ხდება კომპლექსური დავალებების ეტაპების ჩაშლა უფრო მარტივ ნაბიჯებად. კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლა მოქნილად უზრუნველყოფს ლაბორატორიულ სივრცესა და დროს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სახლში არ აქვთ წვდომა შესაბამის აღჭურვილობაზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე, ლაბორატორიული რესურსების ნაკლებობის საპასუხოდ, მასწავლებლებმა დანერგეს ,,იაფი და ხელმისაწვდომი" მასალების გამოყენების პრაქტიკა, რითაც უზრუნველყვეს ექსპერიმენტული ნაწილის სრულფასოვანი განხორციელება. საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა ინტერვიურებისას დაადასტურეს, რომ პრაქტიკული მუშაობის პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა. გარდა ამისა, როგორც მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავზობს დამატებით მხარდაჭერას, კონკრეტულად თუ რაიმე სირთულე აქვს რომელიმე საგანში მუშაობს რემედიაციის პროგრამა, დამატებითი მეცადინეობები და ინდივიდულური აქტივობები, რაც ასევე მოსწავლეებთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. **ინდიკატორი 2.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესისთვის. საბუნებისმეტყველო კათედრამ არ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ქიმიაში, მაგრამ ფიზიკას, ბიოლოგიასა და ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილი იყო არა მარტო შეფასების რუბრიკები, არამედ კონკრეტული მოსწავლეებისთვის მასწავლებლის მიერ მიცემული განმავითარებელი კომენტარი დაზუსტებასა და წახალისებასთან ერთად. შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, და ქიმიაშიც არსებობს მსგავსი პრაქტიკა. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ

	იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ. შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების/ცნებების გააზრებაზე და არა მხოლოდ კონკრეტული საკითხის ცოდნებზე. ჩანდეს თუ რა ტიპის უნარებს ვამუშავებთ და დასწავლის ხარისხი. შეფასების სქემების შექმნის დროს ორიენტირად აღებული იყოს სტანდარტით გათვალისწინებული მისაღწევი** შედგები. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ გამსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს. კათედრის წევრებთან წარმართულმა ინტერვიუმ ცხადყო თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას, ზეპირი უკუკავშირის გაცემას, რომელიც მოსწავლის განვითარების გზის მაჩვენებელია. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლას მიეცა **რჩევა: (სამივე საფეხურისთვის) სასურველია, შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს სამიზნე ცნების-ცნებების გააზრებაზე და არა კონკრეტული საკითხის დასწავლის ხარისხზე. შეფასების სქემები უმჯობესია შეიქმნას სტანდარტში მოცემული მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შეფასების სისტემა იყოს ობიექტური, გამჭვირვალე, სანდო, და სამართლიანი როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების თითოეული ფორმა, რომელიც სწავლა- სწავლების პროცესში გამოიყენება არის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული. შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის კრიტერიუმებს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შესაფასებელი რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების რუბრიკები. სკოლას მიეცა **რჩევა: (სამივე საფეხურისთის) სასურველია, შექმნან კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, მკვიდრ წარმოდგენებთან და შესაბამის ინდიკატორებთან. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირების დოკუმენტები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკა, მათ შორის, ათბალიანი შეფასების ოთხსაფეხურიანი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ექსპერიმენტის შეფასების რუბრიკა, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, პროექტის შეფასების რუბრიკა, დისკუსიის შეფასების რუბრიკა, ასევე მოცემულია კონკრეტული გაკვეთილის მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არ არის წარმოდგენილი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილი მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენება, ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს გამოცდილება სხვა საგნებში (მაგ. უცხო ენებში) სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების შექმნის და გამოყენების, მოსწავლეს აქვს საშუალება წინასწარ გაეცნოს შეფასების რუბრიკებს და იმ ის კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც ფასდება მათი ცოდნა, ეს კი სასწავლო პროცესში შესაძლებლობას იძლევა მოსწავლის ცოდნის შეფასება იყოს ვალიდურ,

	გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიანი. თუმცა, სასურველია სკოლამ წარმოადგინოს სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც კომპიუტერულ ტექნოლოგიებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. სკოლას მიეცა **რჩევა: მოსწავლეთა შესაფასებლად კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე დგინდება, რომ მათი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები და რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს სწავლების დაწყებით საფეხურზე.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები, ამოცანები, ვერიფიკაციის პრინციპები და პროცესი. ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი პრინციპებია შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა და სანდოობა. აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სამართლიან და სანდო შეფასებას. **ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა" უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული

მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არქივში 3 წლის განმავლობაში. **ინდიკატორი 2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (ბრძ. N22/ს31.05.24 წ.);
- სამივე საფეხურის კურიკულუმები;
- შემოქმედებითი დავალებები და მათი ამსახველი ფოტო-მასალა;
- მოსწავლის ბარათები;
- საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმები;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- არაფორმალური განათლების ამსახველი ფოტო-მასალა;
- შემოქმედებითი დავალებები და ამსახველი ფოტო-მასალა;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და ანალიზები;
- მოსწავლეების მიერ შესრულებული სხვადასხვა სახის შემოქმედებითი დავალებები (პროდუქტები);
- მასწავლებლის რეფლექსია და გაცემული უკუკავშირები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სამივე საფეხურის მასწავლებლები იყენებენ დამატებით რესურსებსაც. ასევე საბუნებისმეტყველო კაბინეტში არის მოსწავლეთა მიერ დამზადებული რესურსები სამივე საბუნებისმეტყველო საგნისთვის. სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი. მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ რესურსს. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დავალებების შესრულებისას ხშირად იყენებენ საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტომასალაზე, ასევე, მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც. **ინდიკატორის 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, მითითებულ იქნას ძირითადი სახელმძღვანელოს სრული დასახელება გამომცემლობა, ავტორები. შესაბამისობაში უნდა იყოს იმ რესურსებთან რასაც ვამუშავებთ. მაგალითად X კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ძირითად რესურსად დაწერილი იყო „სულაკაურის გამომცემლობა" და პარაგრაფები მითითებული იყო, „დიოგენეს გამომცემლობის" რესურსიდან. ინდიკატორის 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმები აჩვენებს, რომ სწავლა ეფუძნება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მათ თანდართულ რესურსებს (სამუშაო რვეული, ფლეშქარდები, პოსტერები, ონლაინ რესურსები). სკოლას მიეცა **რჩევა საშუალო საფეხურზე: მე-11კლასის, მეორე უცხო ენის, გერმანულის კურიკულუმში შერჩეულ იქნას სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს მეორე უცხო ენის ფლობის დონის შესაბამისობას მოცემულ საფეხურებზე. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და საგნობრივი

	კათედრის დოკუმენტაციის ანალიზის მიხედვით, სკოლა სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) იყენებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. სასწავლო სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი სასწავლო რესურსის (გრიფმინიჭებული სახელძღვანელო) მიხედვით, ხოლო დამხმარე რესუსრსები (სხვადასხვა ონლაინ რესურსები), მორგებული არის სასწავლო თემის ფარგლებში განსაზღვრულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობას. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუსიკის საგანთან მიმართებაში, სკოლას შემუშავებული აქვს თითოეული კლასის მიხედვით, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც ემსახურება საგნის სიღრმისეულ დასწავლას. რაც შეეხება ხელოვნების საგნის მიმართულებით, ძირითადი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი არის არასრული და მოიცავს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს *(ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის სხდომის N1 ოქმის, დანართი 2).* სკოლას მიეცა **რჩევა:** (სამივე საფეხურისთვის) ● **სასურველია, ახალი 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში მოხდეს ხელოვნების საგნის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების დოკუმენტის შემუშავება სწავლების სამივე საფეხურზე.** ● **სასურველია, ხელოვნების კურიკულუმში ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული, ძირითადი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი იყოს დეტალური (სახელმძღვანელოს დასახელება, კლასი, ავტორი/ავტორები, გამომცემლობა).** **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატურას. ასევე ელექტრონულ რესურსებს: ფილმები, იუთუბი, რომლებიც მასწავლებელს შეტანილი აქვს კურიკულუმში. ეს რესურსები განხილულია საგნობრივ კათედრაზე და შეთანხმებულია კათედრის წევრებთან. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული

	სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლა აქტიურად იყენებს ყველა საჭირო რესურს, რაც ნათლად ჩანს სასკოლო კურიკულუმებში, რომელიც წარმოდგენილია ლინკების სახით. ასევე ამყარებს სკოლის წარმოდგენილი აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/, „გამარჯობა რუბის" და სხვა დამხმარე ლიტერატურას და რესურსებს, რომელიც მასწავლებელს გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში. მასწავლებლებს ეს რესურსები განხილული აქვთ საგნობრივ კათედრაზე და აქვთ შეთანხმებული კათედრის წევრებთან ერთად მათ გამოყენებაზე, წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები განხორციელებული პროექტებში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. სკოლას მიეცა **რჩევა: სასურველია, კურიკულუმებს დაამატონ რესურსები. ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათრდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული

	აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისკენ, რომლის შესასრულებლად პედაგოგები იყენებენ შუალედურ მიზანს, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით. ყოველივე ეს მოსწავლეებში ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა თუ პრობლემების გადაჭრა. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). მისი ვალიდაცია დასტურდება კათედრის სამოქმედო გეგმის და კათედრის N1 ოქმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსის შერჩევის პრინციპით და ვალიდაციისათვის დადგენილი სქემით. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლას აქვს პრაქტიკა: კათედრის სხდომაზე განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო რესურსებს: ძირითად-გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოს, სხვა ვიდეო და ელ. რესურს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასასრულს, კათედრაზე აანალიზებენ და ერთმანეთთან შეთანხმებით არჩევენ ისეთ სასწავლო რესურსებს, რომლებიც არის ესგ-ის შესატყვისი, ე. ი. სანდო და ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის კათედრის სხდომაზე შეთანხმებული, რესურსი არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია დასტურდება საგნობრივი კათედრების ოქმებში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები და რესურსები, რომლებიც გამოყენებულია შუალედური მიზნების შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დამხმარე სასწავლო რესურსები - სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინ რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები, სასწავლო ვიდეორგოლები, სიმულაციები. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არის თერმო მდგრადი სადემონსტრაციო მაგიდა და წყალგაყვანილობა, რაც აუცილებელია პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისთვის. თუმცა სრულფასოვანი სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო და საშუალო საფეხურზე ლაბორატორიაში საჭიროა იყოს გამწოვი კარადა, რაც ასევე აუცილებელია საბუნებისმეტყველო აქტივობების შესასრულებლად საბაზო და საშუალო საფეხურზე. შესაბამისობის გეგმაში სკოლა აღნიშნავს ამ გარემოებას. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო და საშუალო საფეხურზე, რადგან ზოგიერთი ცდის ჩატარებისას საქმე გვაქვს ისეთ ნივთიერებებთან, რომელთა ჩასუნთქვაც საზიანო იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებლისათვის. უსაფრთხოების წესები მოითხოვს გამწოვი კარადის არსებობას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები. ეს მატერიალური რესურსი, რომელიც სკოლის სხვადასხვა

	სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხო ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულიად უზრუნველყოფილია სამუსიკო სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტალური და ტექნიკური სასწავალო რესურსებით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მემორანდუმის საფუძველზე ისარგებლონ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სივრცით და სასაწავლო მატერიალური რესურსებით. საგნობრივ კათედრის წევრებთან გასაუბრების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო ტექნიკური საშუალებები (დაფები, პროექტორი, მონიტორი, კომპიუტერები, პრინტერი და სხვა) და მატერიალური რესურსები, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის საფუძველზე საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური რესურსებით, სკოლა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყოფს სწავლებისთვის საჭირო რესურსებით მასწავლებლებს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ზრუნავს მის კიდევ უფრო მეტად დახვეწაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო

	ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლამ წარმოადგინა სპორტული ინვენტარის სურთები. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ როგორც დარბაზს, ასევე გარეთა სივრცეს. კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელშიც ლეპტოპების რაოდენობა აღემატება თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობას, ამასთანავე მოსწავლეებს აქვთ საკუთარი კომპიუტერებიც და სკოლა მოსწავლეებს დამატებით უზრუნველყოფს სამუშაო დროით და სივრცით ბიბლიოთეკაში, სადაც აქვთ დამატებით კომპიუტერები, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ მათზე, როგორც გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე გაკვეთილების შემდეგაც. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლა" სრულად არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური ადამიანური რესურსით, რომლის კომპეტენცია და სტატუსი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს მასწავლებელთა ელექტრონული ბაზა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (ბრძ. N45/ს; 12.09.25 წ.);
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- შემოქმედებითი დავალების ამსახველი ფოტო-მასალა.
- პედ. საბჭოსა და კათედრის სხდომის ოქმები;
- სასწავლო პროექტები (ფორმალური/არაფორმალური), მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- მასწავლებლის რეფლექსია, გაცემული უკუკავშირები და კოლეგათა შორის ურთიერთდასწრების დოკუმენტაცია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- დიაგნოსტიკური წერის შეფასების დოკუმენტაცია;
- სამუსიკო საავტორო სასწავლო პროგრამა;
- მუსიკის სწავლების ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით – „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურად არის გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ფორმები, პასუხისმგებელი პირები და პროცესის ეტაპები.

მონიტორინგის პროცესში ჩართული არიან როგორც მასწავლებლები და საგნობრივი კათედრები, ისე სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის კათედრის დებულების მიხედვით, პედაგოგები ინდივიდუალურად და კათედრების დონეზე ახორციელებენ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ ცვლილებებს.

მონიტორინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელება და რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა შედეგები დაგეგმილ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მიზანია არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის ანალიზი, არამედ გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები განიხილება საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე, სადაც ხდება სწავლა-სწავლების პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა.

კათედრები მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესში შესაბამის ცვლილებებს, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების ან სასწავლო აქტივობების დახვეწას და საჭიროების შემთხვევაში, კურიკულუმის გადახედვას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც კათედრების ანგარიშებისა და გაკვეთილებზე დაკვირვების საფუძველზე აანალიზებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს

გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებას და პრობლემების გადაჭრას. **ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" მოქმედი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის ხარისხობრივ გაუმჯობესებას და სასკოლო საზოგადოების წევრების (მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების) მხარდაჭერას. მონიტორინგის პროცესი არის გამჭვირვალე, კოლაბორაციული და ორიენტირებულია დახმარებაზე. დაწყებით საფეხურზე და უცხოური ენების კათედრაზე დანერგილი ურთიერთდასწრების პრაქტიკა საშუალებას აძლევს პედაგოგებს განიხილონ სწავლების მეთოდები და მიიღონ გაზიარებული რჩევები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და უცხოური ენების პედაგოგთა მიერ მომზადებული რეფლექსიები აჩვენებს, რომ მასწავლებლები თავად აანალიზებენ კომპლექსური დავალებების მიმდინარეობას და ადმინისტრაციასთან/კათედრასთან ერთად ეძებენ გამოწვევების გადაჭრის გზებს.

კათედრის სხდომის ოქმები ადასტურებს, რომ მონიტორინგის შედეგები განიხილება ერთობლივად, სადაც ხდება რესურსების ვალიდაცია და საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმის კორექტირება მასწავლებლის დასახმარებლად. **ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N16/ს; 31.05.24 წ.);
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმები (N17/ს; 31.05.24)
- კათედრების ანგარიშები;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას. სკოლის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა და დავალებების საფუძველზე. შეფასების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საკლასო აქტივობები, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები და წლიური გამოცდა.

სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის ცოდნის საბოლოო შედეგის დაფიქსირებას, ისე სწავლა-სწავლების პროცესში მისი პროგრესის მხარდაჭერას. გარდა ამისა, შეფასების მნიშვნელოვანი წყაროა დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეთა საწყისი ცოდნისა და საჭიროებების განსაზღვრაში. შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში, მათ შორის შიდა სასკოლო და არაფორმალური განათლების პროექტებში. **ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" მოსწავლეთა შეფასების პროცესი განხორციელებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა საქმიანობას.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მათ მონაწილეობას პროექტებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებსა და ინიციატივებში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენას, რაც ასევე განიხილება შეფასების პროცესში.

მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც აკადემიურ მიღწევებს, ასევე მოსწავლეთა პროგრესს, ჩართულობას, მოტივაციასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში გამოვლენილ უნარებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კომპლექსურობას და მოსწავლის განვითარების სრულყოფილ აღქმას. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში" შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის სრულყოფილ ანალიზს. აღნიშნული მეთოდები მოიცავს წერით დავალებებს, დიაგნოსტიკურ წერებს, საკლასო მუშაობაზე დაკვირვებას, შემაჯამებელ დავალებებსა და სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობებს.

შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა და მათი გამოყენება ხორციელდება საგნობრივი კათედრების მიერ. კათედრების შეხვედრებზე განიხილება შეფასების ინსტრუმენტები, მათი ეფექტიანობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. საჭიროების შემთხვევაში კათედრები ახდენენ აღნიშნული ინსტრუმენტების დახვეწასა და გაუმჯობესებას.
მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესს ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის და მიღებული შედეგების გადამოწმებასა და ხარისხის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი 2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ ,,ჩვენს სკოლაში"შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ საბოლოო ნიშანზე, არამედ დინამიკაზე. მოსწავლის ბარათები და პორტფოლიოები იძლევა საშუალებას, შეფასდეს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების გზა და გამოიკვეთოს მხარდაჭერის საჭიროებები. მონიტორინგი ამოწმებს, რამდენად პასუხობს გამოყენებული რესურსები და აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. ამას ადასტურებს კურიკულუმების რევიზია და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ყველა კათედრაზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (ბრძ. N45/ს; 12.09.25 წ.);
- საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია(ბრძ. N16/ს; 31.05.24 წ.);
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი(ბრძ. N22/ს; 31.05.24 წ.);
- საგნობრივი კათედრების ანგარიშები;
- სადიაგნოსტიკო ტესტის ნიმუშები;
- მოსწავლეთა ნაშრომების ნიმუშები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები .

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;

დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალური მასწავლებლების, ისე საგნობრივი კათედრების დონეზე. თითოეული მასწავლებელი აფასებს საკუთარ სასწავლო პრაქტიკასა და კურიკულუმის კომპონენტებს, ამაზე დაყრდნობით იდენტიფიცირდება საჭიროებები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები ცვლილებების შესატანად. აღნიშნულ პროცესს და შედეგებს აღწერენ საკუთარ ანგარიშში და წარუდგენენ ადმინისტრაციას.

თუ პრაქტიკამ აჩვენა, რომ კონკრეტული კომპლექსური დავალება მოსწავლეებისთვის რთული აღმოჩნდება, მასწავლებლები ახდენენ მის ადაპტირებას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და უცხოური ენების კათედრებზე

წარმოდგენილი რეფლექსიები ადასტურებს დავალებების შინაარსობრივ ცვლილებას უკეთესი შედეგის მისაღწევად. **ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ა(ა)იპ ,,ჩვენი სკოლის" კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად, დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები.

მთლიანი მონიტორინგისა და შეფასების პროცესი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, და, შესაბამისად, გადამუშავებული ვერსია მაქსიმალურად ეფუძნება სკოლის წინარე გამოცდილებას.

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვკითხულობთ, სკოლაში დანერგილია სწავლა/სწავლების პროცესის მონიტორინგის სისტემა, რომელიც წელიწადში მინიმუმ ერთხელ ხორციელდება და მზადდება შესაბამისი ანგარიში.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია არის სკოლის პროგრესული განვითარების დასტური. იგი ადასტურებს, რომ სკოლა ახდენს საკუთარი საქმიანობის კრიტიკულ ანალიზს და მზად არის ცვლილებებისთვის, რათა სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იყოს მორგებული მოსწავლეთა ინტერესებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმები (ბრძ.N17/ს; 31.05.24წ.);
- ა(ა)იპ ჩვენი სკოლის რეკომენდაციათა პაკეტი კურიკულუმის რევიზიისათვის (2024-2025 სასწავლო წელი);
- დირექტორის მოადგილის ანგარიში (2024-2025 სასწავლო წელი);
- ხარისხის სამოქმედო გეგმა და რისკების რეესტრი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

02.06.2026წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტის ხელმოწერა: ნ. ბეგანშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: